ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

პარასკევი, 20 ნოემბერი, 2015 №273 (6893) ფასი: 50 თეთრი

ცხინვალში 14 ოსი ისლამისტი ტერორისტი გამოჩნდა?

ტარზან კოკოითი მოსახლეობის დაწყნარებას ვერ ახერხებს



გვ.4

„მეტროში ესკალატორები შესაძლოა ჩამოიშალოს“

გვ.2

მეტროსადგურში „ღრმაღელე“ გამორეცხილია თაღოვანი გადახურვა გრუნტის წყლების მიერ, უსაფრთხოების მიზნით, ამ ეტაპზე ჩამოხსნილია მძიმე ჭაღები და საჭიროებს სასწრაფოდ სადგურის გაჩერებას მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით

გვ.2

დავით ნარმანია მიდის?

კალაძე და ალიბეგაშვილი მერის წინააღმდეგ

ჯონდი ბაღათურია: „საქართველოში ყველას შეუძლია, ატომური ბომბი შემოიტანოს“

გვ.4

ირაკლი სესიაშვილი: „სირიიდან ლტოლვილებს აღარ მივიღებთ“

გვ.5

გვ.3

დავით დარჩიაშვილი: „ბრიუსელში ერთადერთ რამეს ვამბობ — უვიზოდ მიმოსვლა გვჭირდება“

ISSN 1987-9385

გიგა ბუკია: „დავით ბაქრაძე ევროპაში მავნებლურ საქმიანობას ეწევა“

„შიმშილობა არ არის ის მეთოდი, რომლითაც საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება“



გვ.3

დავით ნარმანია მიდის?

კალაძე და ალიბეგაშვილი მერის წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

თბილისს, შესაძლოა, სულ მალე ახალი მერის არჩევა მოუწიოს.

მოქმედი მერის მუშაობით უკმაყოფილებას უკვე მეოცნებეებიც ღიად გამოხატავენ. მასთან კითხვები დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობის წევრებსაც გაუჩნდათ. კულუარებში შესაძლოა, იმპიჩმენტზეც ლაპარაკობენ.

ამის შესახებ „ახალი თაობა“ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ წერდა. თუმცა ეს ამბავი მაშინ საკრებულოს დეპუტატმა ჯაბა ჯიშკარიანმა ძალიან შეიცხადა. არადა, ეს ინფორმაცია მისმა თანაპარტიელმა მოგვაწოდა.

ამ ამბის შემდეგ თბილისში ვითარება არ გამოსწორებულა. „ქართული ოცნების“ პირველი პირები უკვე ხმამაღლა აღიარებენ, რომ თბილისის მერმა მათი იმედები და ოცნებები ვერ გაამართლა.

მერის მუშაობით ოცნებაგაცრუებული ჩანს ვიცე-პრემიერი კახა კალაძეც. გუშინ, 19 ნოემბერს, მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ნარმანიას მეტი მოეთხოვება და, შესაბამისად, მეტიც უნდა გააკეთოს.

– კარგი იქნებოდა, გზების მშენებლობა უფრო დროულად მომხდარიყო. დათო ძალიან ბევრს მუშაობს, ბევრ საქმეს აკეთებს, თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც გარკვეული საქმიანობით იყვნენ უკმაყოფილოები. ჩვენ ყველას გვინდა უკეთესობა, უკეთესი საქმიანობა. არიან ადამიანები, რომლებსაც კალაძის საქმიანობა არ მოსწონთ, ან ვიღაცას უფრო მეტი უნდოდა. ეს ნორმალური პროცესია.

მეც მეტს ვითხოვ ნარმანიას მიმართ და მეტი უნდა გააკეთოს. ვიცი, რომ თავდაუზოგავად მუშაობს ბატონი დავითი და მისი გუნდი. ალბათ კარგი იქნებოდა, თუ გზების მშენებლობა უფრო დროულად მოხდებოდა და არ იქნებოდა ის, რომ ჯერ საფარის აღება ხდება და შემდეგ გარკვეული დროის შემდეგ, დაგვიანებით სამუშაოების ჩატარება, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ.

ერთი შეხედვით, კალაძეს ნარმანიაზე ისეთი არაფერი უთქვამს, მაგრამ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მთავრობის წარმომადგენელმა მერი ღიად, მსუბუქად გააკრიტიკა.

როგორც ამბობენ, მერს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე და კანცელარიაში ხშირად იბარებენ და დახურულ კარს მიღმა ქოქოლას აყრიან.

„პირველი რადიოსთვის“ გუშინ, 19 ნოემბერს, ცნობილი გახდა, რომ თბილისის მერთან დაკავშირებით, სახელისუფლებო წრეებში და „ქართული ოცნების“ რიგებში უკმაყოფილება გაიზარდა.

სამთავრობო წყაროებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ნარმანიას მუშაობით და მისი ბოლო განცხადებით, რომელიც ოპოზიციას ეხებოდა, თითქმის ერთსულოვანი უკმაყოფილებაა თბილისის საკრებულოს უმრავლესობაში.

ჟურნალისტებთან საკრებულოს უმრავლესობის წევრები ღიად საუბრობენ, რომ მათ უკვე ძალიან უჭირთ ნარმანიას დაცვა და მისი განცხადებების და ქმედებების „გაპრავება“. რამდენიმე დეპუტატი არც იმას მალავს, რომ მათ უკვე ეუხერხულებათ ნარმანიას მაგივრად თავის მართლება.

ამის შესახებ „ახალ თაობას“ რამდენიმე დღის წინ საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ზაზა ვეკუაც ესაუბრა

კულუარული საუბრებისგან განსხვავებით, ნარმანიას ბოლო განცხადებაზე, რომელიც მან ოპოზიციის მიმართ გააკეთა, ღიად ვერ დამალეს უკმაყოფილება საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ალიბეგაშვილმა და საკრებულოს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ, თედო კობახიძემ.

თედო კობახიძე ვიცე-სპიკერ, მანანა კობახიძის ძმა და „ქართული ოცნების“ მმართველ პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებული პირია.

კულუარებში საუბრობენ, რომ თედო კობახიძე, ზემოდან ნებართვის გარეშე, მერს ღიად ვერ გააკრიტიკებდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, სახელისუფლებო წრეებში უკვე მიმდინარეობს იმ სქემაზე მუშაობა, თუ როგორ შეიძლება ნარმანია ვადაზე ადრე ჩამოშორდეს თანამდებობას.

ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, მან „მოულოდნელად“ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვოს თანამდებობა. მეორე ვერსიით კი, არ არის გამორიცხული, ასევე „მოულოდნელად“ საკრებულოში თბილისის 2016 წლის ბიუჯეტი ჩავარდეს, რაც, შესაძლოა, ნარმანიას იმპიჩმენტის დაწყების საფუძველი გახდეს.

„პირველი რადიოს“ ცნობით, სახელისუფლებო კულუარებში დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ ნარმანიამ ვერ „გაქაჩა“ და მისი მუშაობით უკმაყოფილო არიან „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი და მოქმედი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი.

ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ნარმანია თანამდებობიდან საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე წავა. ვარაუდობენ, რომ საპარლამენტო არჩევნებთან ერთად თბილისში მერის ვადამდელი არჩევნებიც ჩატარდება.

„მეტროში ესკალატორები შესაძლოა ჩამოიშალოს“

შორენა მარსაგიშვილი

რა საფრთხეები ემუქრება თბილისის მეტროს, როდის გასდის ექსპლუატაციის ვადა ესკალატორებს, რატომ დუმს ხელისუფლება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ დამოუკიდებელი ექსპერტი გიორგი ნიკოლაიშვილი ესაუბრება.

გიორგი ნიკოლაიშვილი:

– უკვე დავიღალე იმაზე საუბრით, რომ თბილისი მეტროპოლიტენს სერიოზული პრობლემები აქვს და ერთ დღეს შეიძლება, დიდი ტრაგედია დაგვატყდეს თავს. აქამდე ჩემი გაფრთხილება ყურად არც ერთმა სტრუქტურამ არ იღო. იმედია, ახლა მაინც მიიღებენ რაიმე ზომებს.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისლამურმა სახელმწიფომ გურჯისტანის ვილაიეთი შექმნა. ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო ჩვენმა უსაფრთხოების სამსახურმა, თუ ვილაიეთი არ შექმნილა, ძალიან კარგი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტერორისტები საქართველოში არაფერს მოაწყობენ. წარმომიდგენია, როგორ გაუჭირდება ჩვენი უსაფრთხოების სამსახურს რამის გაკეთება, მეტროში თუ რაიმე მოხდა.

– რატომ მაინცდამაინც მეტროში?

– მეტრო ტერორისტების ერთ-ერთი საყვარელი ადგილია. ყველა ქვეყანაში მეტროები საგანგებოდ არის დაცული. საქართველოში კი მეტროზე სახელმწიფო კონტროლი არ არსებობს.

– ეს რას ნიშნავს?

– 2012 წელს, ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურმა მიიღეს კანონი „უსაფრთხო პროდუქტის შესახებ“, საიდანაც ამოღებულია მეტროპოლიტენის შემოწმების პუნქტი. უნდა გაირკვეს, ვისი ინიციატივით მოხდა აღნიშნული სტრატეგიული სამოქალაქო თავდაცვის დანიშნულების ობიექტის სახელმწიფო სფეროდან ამოღება, რამაც განაპირობა მეტროპოლიტენში რიგი კანონების და ბრძანებების დარღვევა. იმის მაგივრად, რომ ეს პიროვნებები დაესაჯათ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისინი დააწინაურეს.

დღეს მეტროში დიდი უბედურება რომ არ ხდება, იქ მომუშავე პერსონალის დამსახურებაა. ისინი არიან ნამდვილი პროფესიონალები და მათ კბილებით უჭირავთ მეტროპოლიტენი. ასევე კარგად მუშაობენ პოლიციელებიც. პარიზის ტერაქტის შემდეგ სპეციალურად ჩავედი თბილისის მეტროში და ვნახე, როგორი გაფაციცებით აკვირდებიან თითოეულ მგზავრს. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ტექნიკურად რაიმე რომ მოხდეს, მერე სად მივდივართ.

– კონკრეტულად რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას მეტროში?

– დავიწყებ ესკალატორებით, ზოგიერთი მათგანი უკვე 40 წელზე მეტია, რაც ექსპლუატაციაშია. კი ბატონო, ხდება მათი შემოწმება და უგრძელებენ ექსპლუატაციის ვადას, მაგრამ როდემდე? ნებისმიერი სპეციალისტი გეტყვით, რომ ლითონი დროთა განმავლობაში ცვდება. ერთ დღესაც რომ ჩაიშალოს ეს ესკალატორი, მერე სად მივდივართ? ვინ აგებს ამაზე პასუხს? ესკალატორების უმეტესობას ვადა 2015-2016 წლებში გასდის.

– რატომ არ ხდება ახალი ესკალატორების შეძენა?

– ეს ძალიან ძვირია და მეტროპოლიტენს საკუთარი ხარჯებით ამის გაკეთება გაუჭირდება. მეტრო ყველა ქვეყანაში დიდი ფუფუნებაა და თითქმის ყველგან ის დოტაციაზეა. საქართველოშიც ასე უნდა იყოს. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტისთვის მნიშვნელოვანი თანხები უნდა გამოიყოს.

თავიდან უნდა დაიწყოს მთელი რიგი ავტოსადგურების ხელახალი მოპირკეთება. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს რამდენიმე მეტროსადგურის რეაბილიტაცია ჩატარდა და სადგურები პლასტმასით მოაპირკეთეს. ამით დარღვეულია საქართველოს შსს მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანება, რომლის თანახმადაც, საევაკუაციო გზების (დერეფნები, კიბის უჯრედები, ვესტიბიულები, ჰოლები და ა.შ.) კედლების და ჭერის მოსაპირკეთებლად, მიწისქვეშა სათავსებისა და სადგურების ვენტილაციაში რეკლამის მოწყობისას, დასაშვებია მხოლოდ უწვადი მასალის გამოყენება. მასალა, რომლითაც მეტროსადგურები მოაპირკეთეს, მარტო უწვადი რომ იყოს, რა გვიჭირდა.

– კიდევ რა უბედურება სჭირს?

– ადვილად აალებადია და გამოყოფს მხუთავ აირებს. მხუთავი აირები არა მარტო აალების, არამედ აბოლების დროსაც წარმოიშვება. წარმოდგენაც კი არ მინდა, რა შეიძლება მოხდეს, იქ მცირე ხანძარიც თუ გაჩნდა. მოკლე ჩართვის შემთხვევაში, მთელი მეტროსადგური ცეცხლის ალში გაეხვევა. ისიც საეჭვოა, რომ, როცა რეაბილიტაცია დასრულდა, ამ სადგურების ჩაბარების აქტს ხელი არავინ მოაწერა ანუ დანაშაული თავის თავზე, რეალურად, არავინ აიღო.

ამ საკითხზე ჩვენ მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას შევხვდით. მათ პირობა მოგვცეს, რომ დაიწყებენ ადვილად აალებადი მასალებით მოპირკეთებული სადგურების ხელახალ მოპირკეთებას. მიმდინარე წელს ერთი ასეთი სადგურის ხელახალი მოპირკეთება იყო გეგმაში.

– კიდევ რა საფრთხეებია მეტროპოლიტენში?

– მეტროსადგურში „ღრმაღლე“ გამორეცხილია თაღოვანი გადახურვა გრუნტის წყლების მიერ, უსაფრთხოების მიზნით, ამ ეტაპზე ჩამოხსნილია მძიმე ჭაღები და საჭიროებს სასწრაფოდ სადგურის გაჩერებას მსხვერპლის თავიდან აცილების მიზნით.

2010 წლის მერე მეტროსადგურების შემოწმება არ ჩატარებულა. შესაბამისად, ძნელია იმის თქმა, რა მდგომარეობაშია გვირაბები. არც ის ვიცით, რა მდგომარეობაშია ვაგონები, ლიანდაგები და მოძრავი შემადგენლობა. ამას ყველაფერს დიდი ფული სჭირდება. ეს ფული სახელმწიფომ უნდა გამოყოს.

დავუბრუნდები ისევ გვირაბებს, 140-ე საიდუმლო ობიექტის შესახებ რამე გსმენიათ? ეს სპეცდანიშნულე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

დავით დარჩიაშვილი: „ბრიუსელში ერთადერთ რამეს ვამბობ – უვიზოდ მიმოსვლა გვჭირდება“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი დავით დარჩიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ ნაციონალური მოძრაობა, კონკრეტულად კი დავით ბაქრაძე და გიორგი კანდელაკი არიან წინააღმდეგი, საქართველომ ევროკავშირისგან ვიზა-ლიბერალიზაცია მიიღოს, რეალობას არ შეესაბამება.

დეპუტატი სხვა აქცენტს სვამს და აცხადებს, რომ ხელისუფლებას არ მოსწონს, როდესაც მათ ოპოზიცია აკრიტიკებს.

– პრემიერმა დავით ბაქრაძისა და გიორგი კანდელაკის, ზოგადად ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა ქვეყნისთვის მოღალატეობრივად შეაფასა. რას უპასუხებთ?

– პრემიერის პოლიტიკური არსებობა არის ქვეყნისთვის მთავარი პრობლემა. უფრო სწორად, ფუნდამენტური პრობლემა ივანიშვილია, რომლისგანაც იმართება პრემიერ-მინისტრი, მაგრამ მისი გამხმოვანებელი არის ღარიბაშვილი.

– არგუმენტირებულად რას უპასუხებთ?

– ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს დაიწყო ევროკავშირთან მოლაპარაკებები. 2010 წელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მიღწევა გაჩნდა პერსპექტივაში. სწორედ ამაში იგულისხმებოდა საბოლოო ჯამში ვიზა-ლიბერალიზაცია. როგორ წარმოგიდგენიათ, საქართველოსთვის, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, მისი მოქალაქეებისთვის დავით ბაქრაძე, რომელიც უშუალოდ ამაში იყო ჩართული, ამ ყველაფრის წინააღმდეგი იყოს? აქ სულ სხვა რამეზეა საუბარი.

– რაზეა საუბარი?

– მათ არ სიამოვნებთ, როდესაც ევროპაში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩვენს მეგობრებთან, სტრატეგიულ პარტნიორებთან ხდება განხილვა იმის, თუ რა სისულელეებს სჩადის მთავრობა. როგორ არის მისი ქმედებები დემოკრატიულ სტანდარტებს აცდენილი. სწორედ ეს არ სიამოვნებთ და ეს სტკივათ, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი შესაძლებლობა ოპოზიციისთვის, მედიისთვის, ადამიანის უფლებების დამცველებისთვის, რომ თავიანთ პარტნიორებთან, მეგობრებთან ისაუბრონ პრობლემებზე, რათა ისინი გადაწყდეს. ვგულისხმობ იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მედიაპლურალიზმთან ან შერჩევით სამართალთან.

– შერჩევითი სამართლის კონკრეტული მაგალითის დასახელება შეგიძლიათ?

– სულ ადვილად: საპროტესტო აქციაზე, როდესაც სამი ახალგაზრდა ბიჭი აპროტესტებდა კონკრეტულ რაღაცას, „ქართული ოცნების“ წევრ დეპუტატს დაუპირისპირდნენ, რის გამოც ეს ახალგაზრდები ოთხი თვით უნდა იყვნენ ციხეში, მაშინ, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენელ დეპუტატებზე პირდაპირი თავდასხმები 100 ლარიანი ჯარიმებით ისჯება და მეტი არაფრით. ეს არის პრობლემა, ეს არის შერჩევითი სამართალი და სხვა არაფერი.



– თქვენ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი ხართ და როდესაც ბრიუსელში ჩადიხართ, ეუბნებით ევროკავშირის წევრი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომ საქართველომ ამ ხელისუფლების პირობებში არ უნდა მიიღოს ვიზა-ლიბერალიზაცია?

– მე, როდესაც ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან ჩავდივარ, ამ ყველაფერზე ვსაუბრობ, მაგრამ რაც შეეხება ვიზა-ლიბერალიზაციას, ამ შემთხვევაში ერთადერთს ვეუბნები: შეიძლება ეს ხელისუფლება ბევრ რამეს არ იმსახურებდეს და ძალიან მკაცრ დამოკიდებულებას იმსახურებდეს, მაგრამ ქართველ მოქალაქეებს უვიზო მიმოსვლა სჭირდებათ მათი მოკავშირეებისგან.

– ამას თქვენ ეუბნებით?

– ამას ეუბნება ყველა ჩვენგანი, როდესაც ბრიუსელში ჩავდივართ. თუ ამ პროცესს რამე შეაფერხებს და გააფუჭებს, ეს იქნება ღარიბაშვილის ქცევა და არა სხვა მიზეზი.

– პრემიერ ღარიბაშვილის გარდა, ამ საკითხზე ისაუბრა წულუკიანმა, რომელმაც ასევე განაცხადა, რომ ევროპელებს უკვირთ, რატომ ითხოვენ ამას თქვენი თანაგუნდელები.

– მათ საკუთარი პრობლემები ქვეყნის პრობლემებად მონათლეს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ კონკრეტული თანამდებობის პირები სწორად არ იქცევიან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამას ქვეყანაზე და საზოგადოებაზე ვსაუბრობთ, რომლებსაც სწორედ სჭირდებათ უვიზოდ მიმოსვლა ევროპასთან.

ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ამ ადამიანთა ქმედებები იქამდე არ მივიდეს, მერე ევროპის პარლამენტებმა სხვანაირად შეხედონ ამ ყველაფერს და საქართველოზე იფიქროს, როგორც რუსეთის მსგავს სახელმწიფოზე. მერე უკვე გვიან იქნება.

ჩვენ ვამბობთ, რომ ახლავე შეაჩერეთ, ახლავე აუხსენით, რას ნიშნავს დემოკრატიული სახელმწიფო და ქვეყნის დემოკრატიულად მართვა, რომ ამ პრობლემებამდე არ მივიდეთ. ამაზე ვსაუბრობთ, თორემ ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესი რომ დასაჩქარებელია, ამაზე მუდმივად ვზრუნავდით და ახლაც ვზრუნავთ.

ხელისუფლების ამ წარმომადგენლებს უნდათ, რომ მათდამი გამოთქმული კრიტიკა საქართველოს კრიტიკად მონათლონ და ეს ჩვენ დაგვაბრალონ. ეს არის ვირუშმაკული ტრიუკი.

– ოპოზიციური პარტიის ლიდერები ხელისუფლებას რომ აკრიტიკებდნენ, ამაში უცნაური არაფერია, მთავარი აქცენტი აქ იმაზე კეთდება, რომ ქვეყანამ უნდა მიიღოს თუ არა ევროკავშირში უვიზოდ მიმოსვლა და ამაზე აკეთებდნენ თუ არა აქცენტს თქვენი თანაგუნდელები.

– მგონი, აგიხსენით, რომ ჩვენი მიზანი არის ვიზა-ლიბერალიზაცია, მაგრამ ბატონი ღარიბაშვილი პოლიტიკაში არასდროს ყოფილა და ის ვერ ერკვევა, მაგრამ სახელისუფლო უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებსაც რაღაც შეხება ევროპულ ინსტიტუტებთან, პოლიტიკასთან ჰქონიათ. მაგალითად, ქალბატონი წულუკიანი ბრიუსელში იყო და არ ახსოვს, ჩვენი ხელისუფლების დროს, როგორ ჩადიოდნენ ოპოზიციის წევრები და როგორ ლანძღავდნენ საკაშვილს?

ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებდეს. ჩვენ მართლა გვინდა, რომ ევროპული ოჯახის ერების წევრი ვიყოთ, რომ ქვეყანაში თუ რამე პრობლემაა, იმის გამოსწორებაში საერთაშორისო თანამეგობრობაც ჩართული იყოს.

ღარიბაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკის ნაწილი, მაგრამ ახლა ამას ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებად და ღალატად ნათლავენ. ეს არის საბჭოური ენა, როგორც საბჭოთა დროს ექცეოდნენ, შემდეგ უკვე რუსეთში ექცევიან მედიას, არასამთავრობო სექტორს, ოპოზიციას. ზღუდავდნენ მათ მოქმედებებს.

შევარდნაძე ამას არ აკეთებდა, მაგრამ ბოლოს, როდესაც დაინახა, რომ შეიძლება ძალაუფლება დაკარგოს, მის ლექსიკაში გაჩნდა: სოროსელები, მოღალატეები, მაგრამ მას შეგნება ბევრად მეტი ჰქონდა და მსგავს რამეს მაქსიმალურად ერიდებოდა. ესენი კი არ ერიდებიან.

– ასე ფიქრობთ?

– ასე ვფიქრობ. პრემიერის ეს განცხადება ცნობილი იქნება საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. არაფერი ამაში დასამალი არ არის. გარწმუნებთ, ღარიბაშვილის ეს განცხადება ისეთივე გამაღიზიანებელი იქნება პირადად მისთვის, როგორიც იყო მის მიერ გაკეთებული განცხადება, როდესაც ნაციონალური მოძრაობის ოფისებს დაესხნენ თავს. მაშინ თქვა, მეტის ღირსნიც არიანო.

ეს განცხადებები ჰაერში არ ქრება, უკვალოდ არ იკარგება. მისი განცხადებები, ტონი და რიტორიკა პრემიერს აზარალებს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ეს ჩვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობაზე აისახება.

ჩვენ კი არ ვქმნით ამ პრობლემებს, პრემიერის ქცევა ქმნის ამ პრობლემებს. ჩვენ ვამბობთ, რომ არაადეკვატური ხელისუფლება გვყავს, მაგრამ მაინც მაქსიმალური ნაბიჯები გადავდგით ინტეგრირებისკენ, პარალელურად კი ვთხოვთ, რომ აუხსნან, ასე არაადეკვატურად ნუ იქცევიან.

– ევროკავშირიდან დამაინფორმებელი სიგნალები მოდის, რომ წლის ბოლოს მივიღებთ ვიზა-ლიბერალიზაციას. თუ ასეთი საგანგაშო მდგომარეობაა, მაშინ უვიზო მიმოსვლას არავინ მოგვცემს. ასე არ არის?

– მთავრობამ ეს პროცესი შეანელა, ეს ყველაფერი ერთი წლით ადრე უნდა მომხდარიყო. მაშინ, როდესაც მოლდოვას მიეცა უვიზო მიმოსვლა. ჩვენ მოლდოვასთან ერთად უნდა ვყოფილიყავით, ერთ პაკეტში, ასეთი იყო შესაძლებლობა, მაგრამ ეს შეფერხდა. ოპოზიციას ამ პროცესში არაფერი შეუძლია. თუ მოგვეცა ვიზა-ლიბერალიზაცია, ეს იქნება ძალიან კარგი, მაგრამ როგორც მოგვეცემა, ისე შეიძლება წაგვერთვას.

– ეს როგორ?

– სანქციებით. თუ ქვეყანაში არ იქნება ნორმალური საარჩევნო გარემო, თუ ქვეყანაში იქნება კუდიანებზე ნადირობა, შერჩევითი სამართალი და არადემოკრატიული გზით სიარულს გააგრძელებს, მაშინ საქართველოს ბევრი ცუდი რამე დაემუქრება.

ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანი იქნება 2016 წლის არჩევნები, ის დასკვნები, რომელთაც სადამკვირვებლო მისიები დადებენ.

გიგა ბუკია: „დავით ბაქრაძე ევროპაში მავნებლურ საქმიანობას ეწევა“

„შიმშილობა არ არის ის მეთოდი, რომლითაც საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება“

მარიამ მჭედლიშვილი

პარლამენტში დაწყებულია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე მსჯელობა. ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს, რომ ბიუჯეტში აისახოს პენსიების 50-ლარიანი ზრდა. ამ მიზნით ნაცმოძრაობა მოსახლეობაში ხელმოწერებსაც აგროვებს. პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენელი, ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკია „ახალ თაობასთან“ საუბარში ნაცმოძრაობის ამ ქმედებებს პოპულისტურს უწოდებს.

გიგა ბუკია:

– პენსიების ზრდა ნაციონალების ექსკლუზიური უფლება არ არის. ამ წინადადებას ჩვენ, უმრავლესობის წარმომადგენლებიც, ვაყენებთ. ფინანსთა მინისტრმა წარმოადგინა ბიუჯეტის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი. იგი დაგვპირდა, რომ მესამე მოსმენისათვის ეცდება გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებას.

თუ არის პენსიების ზრდის შესაძლებლობა, პენსიები გაიზრდება.

რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა ხელისუფლებაში, ბიუჯეტი გამჭვირვალე და სოციალურად ორიენტირებული გახდა. თითოეული თეთრი გაწერილია. კეთდება ის, რისი გაკეთებაც შეუძლია სახელმწიფოს. ნაციონალები ბიუჯეტის საკითხების განხილვას არ ესწრებიან. ისინი პარლამენტის გარეთ აკეთებენ განცხადებებს. მათი მოქმედებები პიარზეა გათვლილი. ასე უნდათ დაკარგული ნდობის მოპოვება.

– თანხების დაზოგვის მიზნით სხვადასხვა ინიციატივა გამოითქმის. თქვენი კოლეგა უმრავლესობიდან, ზაქარია ქუცნაშვილი, უკმაყოფილოა, რომ პარლამენტში ჩავარდა მისი წინადადება პრემიების აკრძალვის თაობაზე..

– პირადად მე არ დავუჭირე მხარი მის წინადადებას. ავხსნი, რატომ.

2016 წლიდან ამოქმედდება კანონი საჯარო სამსახურის შესახებ. ამ კანონში მკაფიოდ არის გაწერილი ხელფასებისა თუ პრემიების საკითხები. ზაქარია ქუცნაშვილის კანონპროექტი რომ მივიღოთ, ეს პროცედურა 10 დეკემბრამდე არ დამთავრდება. გამოდის, რომ ერთთვიანი კანონი უნდა მივიღოთ, რადგან იანვრიდან სხვა კანონი იმუშავებს.

– „ქართულ ოცნებას“ ბოლო დროს პრორუსული გადაწყვეტილებების მიღებაში გადანაშაულებენ. საუბარია რუსეთის სახელმწიფო კომპანია გაზპრომთან თანამშრომლობაზე.

– ამაზეც პარლამენტის უმცირესობის წევრები ხმაურობენ. რომელ პრორუსულობაზეა ლაპარაკი? მათი გამონათქვამები უფრო სარწმუნოა, თუ აშშ-ს ელჩისა? ამერიკის ელჩმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ამაში პრობლემას ვერ ხედავს. საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი მილსადენით რუსეთი სომხეთს აწვდის გაზს. ჩვენ ამის სანაცვლოდ ტრანზიტისთვის გვრჩება გაზი. თუ მილსადენში მეტი გაზი გავა და მეტი დაგვრჩება, ეს საკამათო რატომ უნდა იყოს? ან ვინ აკრძალა დივერსიფიკაცია და კონკურენცია? საუბედუროდ, ნაცმოძრაობა ყველაფერს აკეთებს, რომ მარტო გაზპრომთან კი არა, საერთოდ, არავისთან გვქონდეს ურთიერთობა.

– რას გულისხმობთ?

– თუნდაც, უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის სიარულს ევროპაში და ევროსტრუქტურებში მის მავნებლურ საქმიანობას. იგი ევროპარლამენტში და სხვაგანაც მართავს შეხვედრებს და ყველაფერს აკეთებს, რომ იქ საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები არ მიიღონ.

ჩვენც ვიყავით ოპოზიციაში, უცხოელ მეგობრებსაც ვხვდებოდით, მაგრამ ასეთი რამ გულშიც არ გაგვივლია. ყოველთვის ვახერხებდით, რომ ჩვენი განცხადებები და ქმედებები თანხვედრაში ყოფილიყო სახელმწიფოს ინტერესებთან.

ნაციონალების დევიზი ასეთია – ჩვენ თუ არა ვართ ხელისუფლებაში, ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო. დავით ბაქრაძეს და გიორგი კანდელაკს დიპლომატიური პასპორტები აქვთ, ევროპაში ხშირად ჩასვლა არ უჭირთ. მათ საერთოდ არ აინტერესებთ საქართველოს მოქალაქეების ბედი. ეს მათგან გასაკვირი არც არის. ესაა ნაციონალური მოძრაობის მავნებლური სტილი და რეალური სახე. ეს ადამიანები ვერ ჩაითვლებიან ოპოზიციად.

– საქართველოს პატრიოტთა ალიანსი ითვლებოდა პრემიერ ღარიბაშვილის მოკავშირე ძალად. მისი წარმომადგენლები შუალედური არჩევნების შემდეგ შიმშილობის აქციებს ატარებენ..

– მოკავშირეობისა რა მოგახსენოთ. ირაკლი ღარიბაშვილის მოკავშირე და დასაყრდენი არის კოალიცია „ქართული ოცნება“. მათ შორის, ჩვენი, კონსერვატიული პარტია. მის სხვა მოკავშირეებს არ ვიცნობ. პრემიერ-მინისტრი არც კულისებს მიღმა ეწევა რაიმე პოლიტიკურ მოლაპარაკებებს. იგი სწორ და ღია პოლიტიკას ახორციელებს.

რაც შეეხება საპროტესტო აქციებს, სამწუხაროა, რომ ამ პარტიამ ასეთ რადიკალურ ზომებს მიმართა. ყველაფერი უნდა გადაწყდეს სასამართლოში.

– მათ სამართლებრივი გზა უკვე გაიარეს.

– მაინც არ არის მისაღები შიმშილობა. მათი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაა. ამისთვის ჯობია, თავისი წინადადებები პარლამენტს წარუდგინონ. 2012 წლიდან საარჩევნო კანონმდებლობაში 300-მდე შესწორება შევიტანეთ. ზოგი მათგანი ტექნიკურია, ზოგი კი – ძირეული.

ხანდახან პოლიტიკოსებისაგან ისეთ მოთხოვნას გაიგონებ, რომ რწმუნდები – მათ ახალი საარჩევნო კოდექსი წაკითხულიც არა აქვთ. ეტყობა, ძველის მიხედვით მსჯელობენ. მოშიმშილეებსაც ვურჩევ, მოქმედების სხვა გზა აირჩიონ, წერილობით ჩამოაყალიბონ თავიანთი მოსაზრებები და საკანონმდებლო ორგანოს გააცნონ. შიმშილობა არაა ის მეთოდი, რომლითაც საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ჯონდი ბაღათურია: „საქართველოში ყველას შეუძლია, ატომური ბომბი შემოიტანოს“

ნონა ცაბაძე

ქვეყნის პრემიერი უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ ამ კუთხით სიტუაცია სტაბილურია და ზომები საგრძნობლად გამკაცრებულია.

საპირისპიროს ამტკიცებს „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია. იგი მიიჩნევს, რომ ჩვენს ქვეყანაში ტერორისტული საფრთხეები საგრძნობლადაა გაზრდილი.

– საქართველოში დიდი ხანია ტერორისტული საფრთხეები გაზრდილია. მორღვეულია ქვეყნის საზღვრები, არ არსებობს საბაჟო კონტროლი. ეს პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს. მათი მოღალატეობრივი პოლიტიკის გამო. თუმცა არც ამ ხელისუფლების პირობებში მომხდარა საზღვრების კონტროლი და მათი აღდგენა. პირიქით, კიდევ უფრო გაგრძელდა უკონტროლო სიტუაციის შენარჩუნება საზღვრებზე, – აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

ბაღათურია ამბობს, რომ საქართველოში დაუსჯელად დათარეშობენ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები.

– რომელი ქვეყნის?

– განსაკუთრებით აგრესიულად იქცევიან თურქული სპეცსამსახურები. ხშირია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების გადაბირება, როგორც პოტენციური მებრძოლების, ისლამური სახელმწიფოსთვის ან რომელიმე სხვა რადიკალური დაჯგუფებისათვის. ასევე ჩვენი ქვეყანა იქცა ტრანზიტულ ქვეყნად პოტენციური მებრძოლებისთვის.

– ეს სერიოზული ბრალდებებია.

– მე ვციტირებ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას. პოტენციური მებრძოლები და არა ტერორისტები. ეს შერბილებული ფორმაც მათივე განცხადებაშია.

– საიდან ხორციელდება ეს ტრანზიტი?

– ეს ტრანზიტი ხდება ჩრდილო კავკასიიდან და ასევე კასპიის ზღვის ქვეყნებიდან. ჩვენ დიდი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ყველაფერს თურქული სპეცსამსახურები ხელს უწყობენ.

– საპირისპიროს ამტკიცებს ხელისუფლება, ძალოვანი უწყებები, რომ საზღვრებზე კონტროლი გამკაცრებულია.

– ეს სიცრუეა. 2012 წლის 30 ივლისს, როცა ვანო მერაბიშვილი იყო პრემიერ-მინისტრი და სააკაშვილი პრეზიდენტი, მათ გამოსცეს ბრძანებულება, რომლითაც პრაქტიკულად მთლიანად მოარღვიეს საზღვარი.

– ეს რას ნიშნავს?

– დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ მათი იდეა არ იყო, მათ დაავალეს ქვეყნის გარედან, რომ ხელი შეეწყოთ საქართველოში იარაღის, ნარკოტიკების და ტერორისტების შემოდინებისთვის. არ უნდა შეზღუდულიყო ტრანზიტი. გამოსცეს ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს, ტვირთების დათვალიერება იკრძალება.

– იქნებ რა შემოდის ქვეყანაში?

– საქმეც ეგაა. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის დროს, ამ დიდი სატრანზიტო მანქანების დათვალიერება არ ხდება. ანუ თავისუფლად შეუძლია ნებისმიერ პირს, ატომური ბომბი შემოიტანოს, აქ დაასაწყობოს, ან გაიტანოს ქვეყნიდან. ეს არის კანონმდებლობის დონეზე დაკანონებული.

– დღეს ხომ სხვა მთავრობა გვყავს, რატომ არაფერი შეიცვალა?

– 2014 წელს ახალმა ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანებულება, რომ არ უნდა იქნეს დათვალიერებული უკვე იქით მიმავალი მანქანაც. როგორ შეიძლება ასეთი კანონების მიღება, ჩვენ რა, ბელგიაში ვცხოვრობთ თუ ევროპის შუაგული ვართ?! იმ ევროპის შუაგულშიც რა ხდება, ხომ კარგად ვხედავთ?!

– რით ამართლებს ამას ხელისუფლება?

– ვიღაც გულუბრყვილო შეიძლება გამოვიდეს და გვითხრას, რომ ეს არის ბიზნესის ხელშეწყობა და ასე შემდეგ. როგორ შეიძლება იარაღით გაძეძგილ და რადიკალიზმით სავსე რეგიონში, როგორიც საქართველოა, საბაჟო დათვალიერება არ ხორციელდებოდეს?! ეს არ არის ღალატი?!

– ღალატი ხელისუფლების მხრიდან?

– რასაკვირველია. შევხედოთ, რა მოხდა საფრანგეთში, ამხელა ქვეყანაა, როგორი სპეცსამსახურები ჰყავს. ის ნატოს წევრი ქვეყანაა, მან სამხედრო დახმარება ითხოვა და არც ერთმა ნატოს წევრმა ქვეყანამ მას სამხედრო დახმარებაზე თანხმობა არ უთხრა. ეს კი იმ იდიოტების გასაგონად პოლიტიკური სპექტრიდან, ვინც ქვეყნის მომავალს და უსაფრთხოებას ნატოში გაწევრიანებით გეგმავს! ერთადერთი ქვეყანა, ვინც თანხმობა უთხრა საფრანგეთს, არის რუსეთი და შედგა რუსულ-ფრანგული სამოკავშირეო შეთანხმება. ისინი, როგორც მოკავშირეები, ისე იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თუ ჩვენმა სპეცსამსახურებმა, თუ ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ და შეიარაღებულმა ძალებმა არ დაიწყეს აქტიური მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან და არ დავიწყეთ გამაგრება თურქეთის საზღვრის და არ აღვადგინეთ კონტროლი, ჩვენ დენთის კასრზე ვსხედვართ და დამოკიდებული ვართ მხოლოდ იმაზე, ვის როდის დასჭირდება, რომ ამ დენთის კასრს ნაპერწკალი მისცეს.

– თქვენ წინა ხელისუფლება დაადანაშაულეთ, რომ საზღვარი მიზანმიმართულად გახსნა, რომ სატრანზიტო ქვეყნად გვაქცია. დღეს იმაზეც საუბრობენ, სააკაშვილი ტერორისტებთან თანამშრომლობდაო. ასეა?

– სააკაშვილი ცდილობდა, რადიკალურად განწყობილ მებრძოლებთან საეჭვო ურთიერთობები დაემყარებინა. ასევე, უკვე გამოცდილ ტერორისტებთანაც. ამ საქმეს სჭირდება სერიოზული გამოძიება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმით დაინტერესდებიან არა მხოლოდ ქართული, არამედ წამყვანი ქვეყნების საგამოძიებო ორგანოები.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთმა ცეცხლთან თამაშმა, როგორიც არის ტერორისტებთან ერთჯერადი შეთანხმებები და ტერორისტების პირადი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, მსოფლიოში ცუდი სუნი დააყენა. ამ საქმეების გამოძიება მალე დაიწყება და ვინც სააკაშვილს მფარველობდა, გაწირავს სააკაშვილს და ხელს მას შეახოცავენ.

– თქვენ ამჟამინდელ ხელისუფლებასაც ადანაშაულებთ და საუბრობთ იარაღის და ნარკოტიკის უკონტროლო შემოდინებაზე.

– ეს ბრალდება არ არის, ეს ფაქტია. ამის შესახებ განცხადება სახელმწიფო დეპარტამენტმაც გააკეთა. ეს ოფიციალური მონაცემებია. ის, რომ თინა ხიდაშელი გვამშვიდებს, ქვეყნის საზღვრები გამაგრებული მაქვს და მშვიდად დაიძინეთ, ქვეყანას გულ-მკერდით მე გადავეფარებიო, დამაჯერებლად არ გამოიყურება.

– რატომ, რას უწუნებთ თინა ხიდაშელს?

– კარგით რა!

ცხინვალში 14 ოსი ისლამისტი ტერორისტი გამოჩნდა?

ტარზან კოკოითი მოსახლეობის დაწყნარებას ვერ ახერხებს

შორენა მარსაგიშვილი

19 ნოემბერი ცხინვალის მოსახლეობას კარგა ხანს ემახსოვრება. ადგილობრივებს სოციალური ქსელების მეშვეობით მიუვიდათ შეტყობინება იმის შესახებ, რომ მათ ქალაქში ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები გამოჩნდნენ.

ალბათ წარმოგიდგენიათ, რა პანიკა ატყდებოდა ამ პატარა ქალაქში. ადგილობრივებს კი უნდოდათ, ეს ამბავი ქართული სპეცსამსახურებისთვის დაებრალებინათ, მაგრამ ინფორმაციის გამავრცელებელი ირწმუნებოდა, ყველა მათგანი ჯილა ოსიაო.

ამ ინფორმაციის სისწორეში სამხრეთელ ოსებს ეჭვი არ შეჰპარვიათ, არავისთვის დამალული არაა, რომ ხალიფატის მხარეზე საბრძოლველად ჩრდილოეთ ოსეთიდან ახალგაზრდები მრავლად წავიდნენ.

ოსური მედიის ინფორმაციით, ადგილობრივი სამართალდამცავები ისლამისტი მებრძოლების შესახებ ინფორმაციას ყურადღებით მოეკიდნენ. ისინი ისედაც სანახევროდ საგანგებო მდგომარეობაზე იყვნენ გადასულები.

საქმე ის გახლავთ, რომ ლეონიდ თიბილოვმა ამ დღეებში ქართულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია წაიკითხა გურჯისტანის ვილაიეთის შექმნის შესახებ (კაცმა რომ ჰკითხოს, ქართული არაფერი უნდა). ეტყობა, მერე ვიღაცამ უთხრა, ისლამისტებმა სამაჩაბლოც გურჯისტანის ვილაიეთში შეიყვანესო. მოისმინა რა ეს ამბავი, უყვირია, ძალოვნებს დამიძახეთო და მათ საქართველოსთან „საზღვრების“ მკაცრად გაკონტროლება მოსთხოვა.

ძალოვნებმა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება უმალ შეასრულეს და 19 ნოემბრამდე მშვიდად ეძინათ სამხრეთელებს. გუშინ დილით კი მთელი საოსო შეიძრა. სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის ქუჩებში 14 რადიკალი ოსი ისლამისტი დაეხეტებოდა.

განსაკუთრებული პანიკა ცხინვალის №11 სკოლა-ლიცეუმში ატყდა. სოციალურ ქსელებში გავრცელდა ცნობა, რომ ლიცეუმის შესასვლელთან და გასასვლელთან უცხო და თანაც საეჭვო პირები შენიშნეს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, სკოლის დირექციამ მაშინვე მიმართა სამართალდამცველებს. ისინი სკოლაში ოპერატიულად მივარდნენ.

– სამართალდამცავებმა სკოლასთან საეჭვო ვერაფერი შენიშნეს, ამის მიუხედავად, მისი კუთხე-კუნჭული დეტალურად შეამოწმეს. არაფერი საგანგაშო არ ყოფილა, – განუცხადა ჟურნალისტებს სკოლის სასწავლო ნაწილმა.

მისივე განცხადებით, ლიცეუმში 170 მოსწავლე სწავლობს და მასწავლებლებმა ისინი ოპერატიულად გამოიყვანეს შენობიდან.

აწიოკებულ სკოლაში მივიდა შს მინისტრის მოადგილე ტარზან კოკოითიც. მისი განცხადებით, ძალოვნები სიტუაციას აკონტროლებენ.

– პანიკის საფუძველი არ არის. ეს შეტყობინება ხულიგნების მიერ იყო გავრცელებული, – აღნიშნა ტარზან კოკოითიმ.

ის პირობას დებს, რომ ამ ხულიგნების ვინაობას მალე დაადგენენ და საკადრის პასუხსაც მოსთხოვენ.

ტარზან კოკოითი მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს და სთხოვს, ჭორებს არ აჰყვნენ.

– არანაირი რადიკალი ისლამისტები ცხინვალში არ შემოსულან, – აცხადებს ოსურ მედიასთან საუბარში შს მინისტრის მოადგილე.

თავისი სიტყვების, ეტყობა, ბოლომდე თავად ტარზანსაც არ სჯერა და ამბობს, რომ შსს-ს უსაფრთხოების ზომები გამკაცრებული აქვს.

– არავითარ საფრთხეებს არ ველოდებით, მაგრამ, ამის მიუხედავად, სკოლების და საბავშვო ბაღების დაცვა გაძლიერებულად ხორციელდება, – ამბობს მინისტრის მოადგილე.

ოსური მედიის ცნობით, რესპუბლიკაში სტრატეგიულ ობიექტებსაც გაძლიერებულად იცავენ.

სოციალურ ქსელებში კი კვლავ აქტიურად საუბრობენ 14 რადიკალი ისლამისტის შესახებ, რომლებიც, ინფორმაციის გამავრცელებლის თქმით, რესპუბლიკაში თავისუფლად გადაადგილდებიან.

„მეტროში ესკალატორები შესაძლოა ჩამოიშალოს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბის ობიექტი გაუმაგრებელი გვირაბია, რომლის ნაწილი ყოფილი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ქვეშ გადის. იცით, „რუსთაველი 2“ ხაზის არსებობის შესახებ? ეს „რუსთაველი 2 – ვარკეთილის“ 600-მეტრიანი გვირაბია, რომელიც ასევე გაუმაგრებელია. თაბუკაშვილის ქუჩა, რომელიც ოპერის უკან მდებარეობს, შესაძლოა, საერთოდ მიწის ქვეშ ჩავარდეს, რადგან გაუმაგრებელი გვირაბი მიწის ზედაპირიდან 40 მეტრზეა.

იცით, რა მდგომარეობაშია მეტროსადგურ „ახმეტელთან“ სამოქალაქო თავდაცვის ობიექტი ან რა ხდება ნავთლუღში?! საბურთალოს ხაზის გაჭრა რომ უნდათ, ეგ გვირაბი უკვე არსებობს და ისიც გაუმაგრებელია, ასე რომ, შესაძლოა, ვაჟა-ფშაველას გამზირის ნაწილიც მიწაში ჩავარდეს. 6 ბალიან სეისმურ ზონაში ვიმყოფებით და გამორიცხული არაა, რამდენიმე ძლიერ რყევას დედაქალაქში მსხვერპლი მოჰყვეს.

არც ის ვიცით, რა მდგომარეობაშია წყალსაქაჩი ტუმბები, სპეცსადენები და ა.შ. ყოველ წელიწადს ახალი ბზარების თავიდან ასაცილებლად გამაგრებითი სამუშაოები უნდა ტარდებოდეს, მაგრამ ამაზე ფული არ იხარჯება და ხალხის სიცოცხლე ფეხებზე ჰკიდიათ! სასწრაფოდ უნდა დაიწყოს გაუმაგრებელი მეტროსადგურების კონსერვაცია, რასაც თავისი წესი და რიგი აქვს და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია მივაწოდეთ ხელისუფლებას. წერილით მივმართეთ პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარეს და სახალხო დამცველს.

– გამოხმაურება იყო?

– პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს როცა ვუთხარით, რომ ტყემალაძესთან შეხვედრა გვინდოდა, არ დაგვეხმარნენ. სახალხო დამცველს შევხვდით, დაგვპირდა, რომ მასალებს პროკურატურაში გადააგზავნიდა. ამ შეხვედრის შემდეგ აღარ შეგვხმიანებია.

– მიწისზედა ტრანსპორტზე რას გვეტყვით? ერთ-ერთმა ექსპერტმა განაცხადა, ისეთი საშინელი ავტობუსებია, შესაძლოა, ხალხი ცოცხლად დაიწვასო.

– ეს ავტობუსები თანამედროვე სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს და ექსპლუატაციის ვადაც გაუვიდა, მაგრამ იქ ცოცხლად დაწვა ხმამაღალი ნათქვამია. ისინი დიზელზე მუშაობენ, დიზელის საწვავი კი უცბად არ ფეთქდება. მერია მომავალ წელს 120 ახალი ავტობუსის შემოყვანას აპირებს. რაც შეიძლება მალე უნდა განახლდეს ავტობუსების პარკი.

იმედი ვიქონიოთ, რომ ცენტრალური ბიუჯეტი მეტროპოლიტენის განახლებისთვისაც გამოყოფს თანხებს.

ირაკლი სესიაშვილი: „სირიიდან ლტოლვილებს აღარ მივიღებთ“

გულიკო ბალაძე

გულისხმობს თუ არა უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები რაიმე შეზღუდვის დაწესებას? რა სიტუაციაა საქართველოში უსაფრთხოების თვალსაზრისით და რამდენად აკონტროლებენ სიტუაციას უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები?

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, უსაფრთხოების საბჭოს სხდომაზე ყველა შესაბამისი უწყების ინფორმაცია მოისმინეს. შემდეგ კი დაიგეგმა ის ღონისძიებები, რამაც უნდა გააძლიეროს უსაფრთხოების სისტემა.

– საქართველოში სტაბილური სიტუაციაა. სიმშვიდეა ყველა მიმართულებით, საიდანაც შეიძლება არსებობდეს საფრთხე. უსაფრთხოების სამსახურები, სპეცსამსახურები სიტუაციას ფლობენ და აკონტროლებენ. რამე პირდაპირი საფრთხეები არ არსებობს, მაგრამ იმ მოვლენების ფონზე, რასაც ადგილი ჰქონდა პარიზსა და მთლიანად ევროპაში, არ არის გარანტია, რომ არ იარსებებს გარკვეული რისკები, – განაცხადა „რეპორტიორში“ ირაკლი სესიაშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლებამ იფიქრა მომავალზეც:

– გვაქვს სურვილი, ჩვენი სპეცსამსახურები მაქსიმალურად იყვნენ აღჭურვილი და უზრუნველყოფილი შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. ამ კუთხითაც გარკვეული გადაწყვეტილებები მივიღეთ. საერთო ჯამში, პანიკის საფუძველი არ არის. მშვიდად, წყნარად უნდა გავაგრძელოთ მუშაობა მეტი ყურადღებითა და კოორდინაციით საერთაშორისო საზოგადოებასთან, რასაც აქამდეც ვაკეთებდით.

„ახალი თაობა“ დაინტერესდა, რა პოზიცია აქვს სესიაშვილს რუსეთთან სავიზო რეჟიმის შესაძლო გამარტივებასთან დაკავშირებით, ამაში ხომ არ ხედავს რაიმე დამატებით რისკებს. ასევე საქართველო სირიიდან ლტოლვილებს მიიღებს თუ არა და რატომ არ აკმაყოფილებს რუსეთს ლარსის გზის გამტარუნარიანობა.

– რუსეთთან უვიზო რეჟიმი ჩვენ არასოდეს გაგვიუქმებია. რუსეთის გადასაწყვეტია, სავიზო რეჟიმს გაგვიმარტივებს თუ არა. ჩვენ არ ვერევით. სავიზო რეჟიმის გამარტივება შეეხება უბრალო მოქალაქეებს, რომლებსაც რუსეთთან გარკვეული კავშირები აქვს – სავაჭროდ დადის ან ნათესავები ჰყავს. სავიზო რეჟიმის გამარტივება რაიმე ტიპის რისკებთან ვერ იქნება დაკავშირებული. ჩვენ ვინარჩუნებთ იმ რეჟიმს, რაც აქამდე გვქონდა. ზოგადად, მივესალმები ნებისმიერ იმ ნაბიჯს, რომელიც მოქალაქეებს საკუთარი სურვილების რეალიზებისთვის გამარტივებულ რეჟიმს შესთავაზებს.

– ხომ შეიძლება ვინმე არასასურველმა პირმა ისარგებლოს რუსეთთან გამარტივებული სავიზო რეჟიმით და გადავიდეს რუსეთის მხარეს, რაც შექმნის პრობლემას?

– სავიზო რეჟიმის გამარტივება ეხება საქართველოს მოქალაქეებს.

– მესამე ქვეყნებიდან ვერ გადავლენ რუსეთის ტერიტორიაზე?

– მესამე ქვეყნებთან რუსეთმა თვითონ დაალაგოს ურთიერთობა. ეს ჩვენ არ გვაინტერესებს. აქ საუბარია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე. თორემ ბანგლადეშის მოქალაქე როგორ გადავა რუსეთში, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს.

– ბანგლადეშის მოქალაქე საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთში ვერ გადავა?

– ვერ გადავა, ეს გამარტივება ჩვენს მოქალაქეს შეეხება.

– ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ პარალელურად რუსეთმა განაცხადა, რომ ლარსის გამშვები პუნქტის გამტარუნარიანობა არ აკმაყოფილებს.

– ეს აქამდეც ასე იყო. ვითარება არ შეცვლილა.

– სამხედრო ტვირთების გადატანა ხომ არ აქვს ჩაფიქრებული?

– ჩვენ არ მივცემთ საშუალებას რუსეთს, რომ სამხედრო ტვირთების გადატანისთვის საქართველოს ტერიტორია გამოიყენოს. ამაზე საუბარიც არ არის. ლარსის გამშვები პუნქტი კი თავისთავად რთული გზაა. მით უმეტეს, ზამთარში, მაგრამ ეს ის გზაა, რომელიც გვაქვს. სხვა მხრივ, თავად რუსეთს ვკითხოთ, რატომ აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიები, საიდანაც მათთან დამაკავშირებელი სხვა გზები გვაქვს.

– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, აღადგინეს თუ არა რუსებმა აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზა?

– აფხაზეთის მონაკვეთზე მათ რკინიგზა გაასუფთავეს. თუმცა, რეალურად, იმდენად რეაბილიტირებული არ არის, რომ რაიმე მძიმე ტვირთი გაატაროს. ამ რკინიგზით რუსეთს და აფხაზეთს (ჩვენს ნაწილს) 1992 წლიდან არ უსარგებლია. შესაბამისად, მისი რეაბილიტაცია, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუ ახლიდან არ გავიყვანთ რკინიგზას. 20 წლის მანძილზე აღნიშნული რკინიგზა, უბრალოდ, მწყობრიდანაა გამოსული.

– მსოფლიოში გააქტიურებული ტერორიზმის ფონზე, ახლახან რუსეთმა განაცხადა, რომ იტოვებს უფლებას, შევიდეს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, თუ ამის საჭიროება იქნება.

– ეს მათ სამხედრო დოქტრინაში უწერიათ.

– ამ განცხადებიდან გამომდინარე, საქართველოსთვის რა რისკი არსებობს?

– რუსული პოლიტიკა არაპროგნოზირებადია. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა უკრაინისა და ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა 21-ე საუკუნეში. ქვეყანას, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, მეტი პასუხისმგებლობა და თმენის ვალდებულება აქვს საერთაშორისო სამართლის მიხედვით. რუსეთის ერთადერთი შემაკავებელი ფაქტორია საერთაშორისო საზოგადოების ძალიან პრინციპული პოზიცია, რასაც მეტ-ნაკლებად შედეგი მოაქვს, რადგან, მიუხედავად სანქციებისა, რუსეთი აგრძელებს უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას.

– რა შეიძლება იყოს რაიმე პროვოკაციის შემაკავებელი?

– რეცეპტები არ არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს საქმე პუტინის პოლიტიკასთან და არა რუსეთის პოლიტიკასთან. თუმცა, დღესდღეობით რუსეთისა და პუტინის პოლიტიკა ერთია.

– ჩვენი სახელმწიფო სირიიდან ლტოლვილებს ღებულობს?

– სირიიდან წინა წლებში 500 ლტოლვილი მივიღეთ. ამ ეტაპზე, ალბათ, სირიიდან ლტოლვილებს აღარ მივიღებთ.

ჯარისკაცები, პოლიციელები, პედაგოგები, ექიმები – რეალურად ვის გაეზარდა ხელფასი

113 მილიონი ლარით გაზრდილია ჯარისკაცების, 106 მილიონი ლარით – პოლიციელების, დაახლოებით 45 მილიონი ლარით იზრდება პედაგოგების ხელფასები

საოცარი იცით რა არის? წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ მოსახლეობას მოკლე პოლიტიკური მეხსიერება კი არა, მეხსიერება საერთოდ არ აქვს. სწორედ ამიტომ, ისინი ისეთ თემებზე აპელირებენ, რომლებზეც მათი ხელისუფლებაში ყოფნის პირობებში, საუბარიც კი დანაშაულად ფასდებოდა და ამაზე ჩურჩულით საუბრობდნენ.

პარლამენტში ახალი ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს და საპარლამენტო ოპოზიციამ უკვე დაიწყო იმაზე საუბარი, რომ გაზრდილი ბიუჯეტი მხოლოდ გაზრდილ ხელფასებს ითვალისწინებს და პენსიონერები არაფერს მიიღებენ.

მათივე მტკიცებით, თუ ნებას მისცემენ, გაზრდილ ხელფასებს და პრემიებს შეამცირებენ და პენსიონერებისთვის ფულიც გამოჩნდება, თუმცა...

– მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ცდილობენ, მოსახლეობას არასწორი ინფორმაცია მიაწოდონ. არის განცდა, რომ მინისტრები და მაღალი თანამდებობის პირები პრემიებს იღებენ.

არც ერთი მინისტრი არ იღებს პრემიას, მინისტრის ხელფასი არის 5 ათასი ლარი და ეს ყველაფერი საჯაროა. ხდება დანამატის გაცემა – საუბარია საშუალოდ 300-400 ლარზე, საშუალო და ქვედა რგოლზე, ან დეპარტამენტის უფროსები იღებენ დანამატებს.

ვინაიდან, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული საჯარო სამსახურის რეფორმა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ და რომელიც სახელფასო სისტემის მოწესრიგებას ითვალისწინებს, ამიტომ ამ ცუდი პრაქტიკით გრძელდება დღემდე ხელფასების გაცემა.

ჩვენი ვარაუდით, 2017 წლისთვის მთელი სახელფასო სისტემა იქნება მოწესრიგებული, ხელფასს დაერქმევა ხელფასი, დანამატს – დანამატი და აღარ მოხდება დანამატების და პრემიების ქაოტურად გაცემა.

მანამდე გვიწევს ასეთ რეჟიმში მუშაობა, თუმცა სპეკულაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობამ გაიზარდა ხელფასები, სრული სიცრუეა და უნდა ეყოთ ნამუსი, რომ ამ თემით სპეკულირება დაასრულონ. მოსახლეობა მიზანმიმართულად შეჰყავთ შეცდომაში, – ეს განცხადება გუშინ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა გააკეთა.

რა გამოდის? სფერო, რომელიც სახელმწიფოს ქვაკუთხედია, ფინანსდება, რათა იმ ადამიანებმა, რომლებიც ზემოთქმულ სამსახურებში მუშაობენ, უფრო მეტი პასუხისმგებლობა იგრძნონ და მათთვის სამსახურის დაკარგვის საფრთხე უფრო მეტად ღირებული გახდეს და თუ საპარლამენტო ოპოზიცია (გნებავთ არასაპარლამენტო) იმაზე უკეთეს პრიორიტეტებს დაასახელებს, ვიდრე წესრიგი, ჩვენი შვილების მომავალი და თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობაა, ხმას არ ამოვიღებთ.

უფრო დეტალური განმარტება კი ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა გააკეთა და ისიც აღნიშნა, რომ ინფორმაცია, რომელიც მის სამინისტროში ხელფასების გაზრდას ეხება, მტკნარი სიცრუეა.

– 10 მილიონი ლარით გაზრდილია გამომძიებლების ხელფასები; სასამართლოებში, 21 მილიონი ლარით გაზრდილია როგორც მოსამართლეების, ისე სასამართლოს აპარატის თანამშრომლების ხელფასები;

გარემოს დაცვის სამინისტროში აღდგა ადრე გაუქმებული სამსახურები, რომლებიც იცავენ ბუნებას, ესენია – გარემოს ზედამხედველობის სამსახური, სამინისტროს დაუბრუნდა სატყეო სააგენტო, მხოლოდ აქ არის ზრდა, ხელფასების მატებას ადგილი არ ჰქონია.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ევროკავშირთან აღებული ვალდებულების შესაბამისად, უნდა განახორციელოს სურსათის უვნებლობის ხარისხის კონტროლი, ეს სამსახურები ასევე გაუქმებული იყო და მათ აღდგენას მოჰყვა არითმეტიკული მატება;

კულტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ხელფასები შემცირებულია 14 ათასი ლარით. სამინისტროს სისტემაში არის 80-მდე სსიპ, რომლებიც ფინანსდებოდა სუბსიდიების მუხლიდან, რაც გასწორდა და ხელფასს დაერქვა ხელფასი, თანხა კი იგივე დარჩა, – განაცხადა ხადურმა.

მისივე ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს ხელფასები შემცირებულია 2 მლნ ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრმა სწორედ საკუთარ თავსა და თანამშრომლებზე გააკეთა ეკონომია.

ხადურის განცხადებით, ეკონომიკის სამინისტრომ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი დაიწყო, შეიქმნა ინოვაციების და მეწარმეობის სააგენტოები და ზრდა არის ამ მიმართულებით.

განათლების სამინისტროში ზრდა გამოწვეულია სსიპ-ებით.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასწავლებლების ხელფასი წელს ჯამში 25 მილიონით გაიზარდა, ხოლო მომავალ წელს დაახლოებით 45 მილიონი ლარით იზრდება. პარალელურად, ხადურმა დაადასტურა, რომ პარლამენტის დაფინანსება გაიზარდა, თუმცა არა პარლამენტართა ხელფასების ხარჯზე.

ნოდარ ხადური:

– გაზრდილი აქვს შრომის ანაზღაურება საქართველოს პარლამენტს, მაგრამ ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ პარლამენტის წევრებს უწევთ ბინების დაქირავება ქუთაისში, კანონის შესაბამისად კი ეს უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ; სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელფასები გაზრდილია 2012 წლის სექტემბერში და თუ 2012 წელს ეს შეეხო 3-4 თვეს, წელს ეხება ყველა თვეს;

აუდიტის სამსახურში 2012 წელს შრომის ანაზღაურება შეადგენდა 5,1 მლნ ლარს, მომავალ წელს იქნება 11,8 მილიონი ლარი;

ადგილობრივ თვითმმართველობებში დაახლოებით 50 მლნ ლარით არის გაზრდილი შრომის ანაზღაურება ჯამში, მაგრამ ეს არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის 2012 წლის ნოემბრის განკარგულება, რომლის თანახმად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ზედა ზღვარი.

სახელმწიფო ბიუჯეტში 44 მილიონი ლარია სახანძრო-სამაშველო სამსახურების ბიუჯეტი, რომლებსაც 31 დეკემბრამდე გადაიხდიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ხოლო 1-ელი იანვრიდან გადაიხდის შინაგან საქმეთა სამინისტრო, რამაც სამინისტროს ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია.

ფაქტი ის არის, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად გამჭვირვალედ ცდილობს გააკეთოს ის, რასაც წინა ხელისუფლება კარს უკან აკეთებდა და ვინც ამ კარის გაღებას შეეცდებოდა, საპარლამენტო ტრიბუნიდან მოწოდებული ნულოვანი ტოლერანტობა ქართულ სინამდვილეში შვეიცარიული საათივით მუშაობდა.

ბათო ჯაფარიძე

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ძ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

2016 წლიდან საწვავის კონტროლი გამკაცრდება

„გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოში უხარისხო საწვავი შემოდის“

ფილტვის კიბო, ასთმა, გულსისხლძარღვთა და რესპირატორული დაავადებები, სხვადასხვა სახის ალერგია – ეს იმ დაავადებების არასრული ჩამონათვალია, რომელთა წარმოშობასაც ჰაერის დაბინძურება უწყობს ხელს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ჰაერის დაბინძურება ყოველ წელიწადს 2 მილიონი ადამიანის ნაადრევი სიკვდილის მიზეზი ხდება. ამასთან ერთად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველოში ჰაერის დაბინძურება დაავადებების 17%, ხოლო სიკვდილიანობის 19%-ს იწვევს.

დადგენილია ისიც, რომ თბილისში ჰაერის დაბინძურების 95% ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით არის გამოწვეული.

სწორედ ამიტომ, მომავალი წლიდან შესაძლოა საქართველოში ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლი გამკაცრდეს.

ამ მოთხოვნით მთავრობას და ფინანსთა სამინისტროს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირმა მიმართა. კავშირის თავმჯდომარე, ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ საწვავის ხარისხი სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გააკონტროლოს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა 2017 წლიდან უნდა გადავიდეს ევრო-5 სტანდარტის საწვავის მოხმარებაზე.

თუნდაც ამიტომ, ყველა მეწარმემ უნდა იცოდეს, კანონის დარღვევის შემთხვევაში, რა სანქციები გატარდება მის მიმართ.

ვანო მთვრალაშვილი:

– ამ ინიციატივით მთავრობას ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირმა მიმართა. საქართველოში ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი ნავთობის იმპორტიორი კომპანია გაჩნდა. გარდა ამისა, გაცემულია ორი ლიცენზია ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობაზე. ჩვენ კომპანიების რიცხვის ზრდას მივესალმებით, რადგან ეს ხელს შეუწყობს ნავთობპროდუქტების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის ზრდას, მაგრამ აქვე ჩნდება საფუძვლიანი საშიშროება, რომ შესაძლოა ადგილობრივ ბაზარზე უხარისხო, არასტანდარტული პროდუქტიც გაჩნდეს.

ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ ეს არის ურთულესი პრობლემა, რადგან უხარისხო საწვავი გარემოს აბინძურებს და უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. თანაც, უხარისხო საწვავის იმპორტი მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის კეთილსინდისიერ მეწარმეს, რადგან ის შედარებით იაფია, რაც ბაზარზე არაჯანსაღ, არაკონკურენტულ გარემოს ქმნის.

– ამის გათვალისწინებით ჩვენ მივმართეთ სახელმწიფოს, რათა საწვავის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული მექანიზმები შეიმუშაოს და განახორციელოს, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

– ეს რეგულაციები ხელს ხომ არ შეუშლის იმპორტიორი კომპანიების საქმიანობას?

– არანაირად. მთავარია, ისეთი მექანიზმი შეიქმნას, რომელიც დამატებით ბიუროკრატიულ და ხელისშემშლელ ბარიერებს არ შეუქმნის კომპანიებს.

მთვრალაშვილის თქმით, სახელმწიფო ისეთი ღონისძიებების გატარებას გეგმავს, რომლებიც ბიზნესის განვითარებასა და წახალისებაზე იქნება ორიენტირებული. შესაბამისად, ბიზნესის განვითარების ხელშემწყობიც.



– ჯამში ეს გვაძლევს საშუალებას, რომ დაცული იქნას გარემო, მომხმარებელი და კეთილსინდისიერი მეწარმე, – ამბობს ის.

არსებობს მთავრობის დადგენილება საწვავის ხარისხობრივი ნორმების შესახებ, რომლითაც დადგენილია გოგირდისთვის დასაშვები ზღვარი: ჩვენ შემთხვევაში ეს არის 200 ერთეული, რაც 2016 წლისათვის კიდევ უფრო მეტად გამკაცრდება: 200 ერთეული 150-მდე ჩამოდის.

– როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ უხარისხო, არასტანდარტულ პროდუქციაზე, ვგულისხმობთ ისეთ საწვავს, რომელშიც მომატებულია გოგირდისა და ისეთი კომპონენტების შემცველობა, რომელიც გარემოზე უარყოფითად მოქმედებს. მთლიანობაში კი, საწვავის სტრუქტურის განსაზღვრა და შესწავლა ძალიან ძნელია, – აღნიშნავს ვანო მთვრალაშვილი.

– დღეს ჩვენს ქვეყანაში იყიდება თუ არა უხარისხო საწვავი?

– ჩვენთან იყიდება როგორც ევროპული სტანდარტის საწვავი, რომელიც წარმოდგენილია

პრემიუმის, სუპერის და ევროდიზელის სახით, ასევე რეგულარი, რომელიც ევრო-4-ის სტანდარტისაა, იყიდება დიზელის საწვავიც, რომელიც ჩვენი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სავაჭრო ქსელში იყიდება პროდუქტი, რომელშიც გოგირდის შემცველობა დასაშვებზე მეტი მოცულობისაა და ეს არის არასტანდარტული, უხარისხო საწვავი, რომლის გავლენაც ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მკვეთრად უარყოფითია.

– სწორედ ამიტომ იგეგმება ისეთი ღონისძიებები, რომლებითაც გაკონტროლდება უხარისხო პროდუქციის შემოდინება და გასაღება ადგილობრივ ბაზარზე, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირს აქვს ინფორმაცია, რომ უხარისხო პროდუქტი ქსელში ნამდვილად იყიდება, თუმცა ამის მასშტაბები საგანგაშო არ არის.

– ამიტომაც უნდა მოვახერხოთ პრევენცია, რომ უხარისხო პროდუქტი ბაზარზე აღარ მოხვდეს. ეს პირველ რიგში მნიშვნელოვანია გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის. მით უმეტეს, ქვეყანაში ძალიან მოიმატა სატრანსპორტო საშუალებების რიცხვმა, საწვავის მოხმარებაც მატულობს, იმპორტიც და იქმნება საშიშროება, რომ უხარისხო საწვავის რაოდენობაც გაიზარდოს. ამიტომაც სასურველია, რომ ქართულ ბაზარზე სარეალიზაციოდ გამოტანილი პროდუქტი მინიმალურ ნორმებს მაინც შეესაბამებოდეს, რაც ჩვენი მთავრობის მიერ არის დადგენილი, – აცხადებს კავშირის თავმჯდომარე.

– ხომ არ შეამცირებს კონტროლის გამკაცრება იმპორტის მოცულობას?

– არანაირად. თუ მექანიზმი მოქნილი და ქმედითი იქნება და ბიზნესის წახალისებისკენ იქნება მიმართული. ამ მექანიზმმა უნდა გამოავლინოს თითოეული კონკრეტული შემთხვევა. ამიტომ, ის არანაირად არ იქნება იმპორტის ან ამ ბიზნესის შემაფერხებელი.

ვანო მთვრალაშვილი ამბობს, რომ არჩევანი უნდა გავაკეთოთ – გვინდა ხარისხიანი პროდუქტი, რომელიც შეიძლება შედარებით ძვირი იყოს, თუ უხარისხო და იაფფასიანი.

– ჩვენ ოფიციალური წერილობითი მიმართვები გავაგზავნეთ მთავრობაში. ამას ეთანხმებიან მსხვილი ნავთობკომპანიები და ყველა კეთილსინდისიერი მეწარმე, რომელიც ამ საქმეს ემსახურება. კონტროლს დაემორჩილება როგორც ბრენდირებული, ასევე არაბრენდირებული კომპანიებიც და ეს სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება. მით უმეტეს, ლაპარაკია გარემოს დაცვაზე, რომელიც მთელ მსოფლიოში უაღრესად აქტუალური თემაა და დადგენილი ნორმების დაცვას ჩვენგან ევროკავშირიც მოითხოვს, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

ხათუნა ჩიგოგიძე, ბიბიენი

მიწისქვეშა გადასასვლელები კერძო მფლობელებზეა გასხვისებული

თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯაბა სამუშიას თქმით, მიწისქვეშა გადასასვლელების დიდი ნაწილი კერძო მფლობელებზეა გასხვისებული.

როგორც მან ბიპიენთან საუბრისას განაცხადა, მიწისქვეშა გადასასვლელები წინა ხელისუფლების მიერ გასხვისდა და მერიის მფლობელობაში ძალიან ცოტა გადასასვლელია დარჩენილი.

– მიწისქვეშა გადასასვლელების ძალიან დიდი ნაწილი წინა ხელისუფლების მიერ გასხვისებულია. აქედან გამომდინარე, მათ ჰყავთ კონკრეტული მეპატრონე და გვინდა, აღნიშნულმა მეპატრონეებმა ჩადებული ვალდებულებები შეასრულონ და მოუარონ გადასასვლელებს.

ასე უპასუხა ჯაბა სამუშიამ ჩვენს შეკითხვას, თუ რატომ არის 2016 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტში ცარიელი გრაფა, სადაც ჩაწერილი უნდა იყოს ხარჯები, რომლითაც მომავალ წელს თბილისში მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება მერიის მფლობელობაში დარჩენილ მიწისქვეშა გადასასვლელებს, ჯაბა სამუშიას თქმით, მათი რაოდენობა ძალიან ცოტაა და მათი დაფინანსება სხვა კუთხით ხორციელდება.

– მერიის მფლობელობაში ძალიან ცოტა მიწისქვეშა გადასასვლელია დარჩენილი და მათი დაფინანსება სხვა მიმართულებით მიდის, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

მიმდინარე წელს მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობისა და რეაბილიტაციისთვის თბილისის მერიას 1,2 მილიონი ლარი ჰქონდა გათვალისწინებული, ხოლო 2014 წელს ამ მიზნებისთვის 871 ათასი ლარი დაიხარჯა.

მაგთიკომს კავკასუს ონლაინის საცალო ბიზნესის შეძენის უფლება მისცეს



კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მაგთიკომს კავკასუს ონლაინის საოპერაციო აქტივების შეძენის უფლება მისცა.

გადაწყვეტილება კომისიამ გუშინ, 19 ნოემბერს, მიიღო.

მაგთიკომს კავკასუსის ყველა იმ აქტივის შეძენა სურს, რომელსაც კომპანია საკუთარი აბონენტებისთვის მაუწყებლობის ტრანზიტის, ციფრული სატელეფონო და ინტერნეტის საცალო მომსახურების მისაწოდებლად იყენებს.

მარეგულირებელმა საკითხი უკვე შეისწავლა და დაასკვნა, რომ ეს ფაქტი ბაზრის შესაბამისი სეგმენტების კონკურენციაზე გავლენას არ იქონიებს.

კავკასუს ონლაინის აქტივების შეძენას სილქნეტიც გეგმავდა, თუმცა მხარეებმა მარეგულირებლის მიცემულ დროში საჭირო დოკუმენტაცია არ წარადგინეს, რის გამოც კომისიამ საკითხი არ განიხილა.

მიხეილ მაჭავარიანი: „გზების ტენდერში შერჩეული „ალტკომის“ უკან უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის საახლობლო დგას“

„ალტკომის“ საკითხით მაჭავარიანი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე დაინტერესდა, სადაც რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილს მოუსმინეს.

მაჭავარიანის თქმით, სამტრედიის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით „ალტკომმა“ ტენდერი 2013 წელს მოიგო, მას ავანსის სახით თანხის 30% – 42 მილიონი ჩაერიცხა და ეს მოხდა მაშინ, როცა უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა.

მისივე განცხადებით, ახლა მხოლოდ 2-3 მილიონის სამუშაოა შესრულებული და მთავრობა ამით კმაყოფილია.

მიხეილ მაჭავარიანი:

– მეგზევეებმა ძალიან კარგად იციან, რა მითქმა-მოთქმა იყო „ალტკომთან“ დაკავშირებით. 2013 წელს, როცა უკრაინაში მიდიოდა ის მოვლენები, როცა უკრაინა თავის დასავლურ არჩევანს იცავდა.

რატომ შეირჩა დონეცკური კომპანია, დაკავშირებული პრეზიდენტ იანუკოვიჩის ახლობლებთან – ვიცე-პრემიერ კოლესნიკოვთან?! საუბრობდნენ კონკრეტულ გვარებზე, რომელიც მაშინ საქართველოდან ხშირად ჩადიოდა უკრაინაში.

რატომ მოიგო ამ კომპანიამ ტენდერში და რატომ მოხდა მისთვის წინასწარ ავანსად 42 მილიონის გადარიცხვა?! მას ეს თანხა წინასწარ გადაურიცხეს, მაშინ როცა მარტის თვეში არანაირი აქტივი არ არსებობდა. ის საბანკო გარანტიაც ქაღალდი იყო, რადგან მოგეხსენებათ, რა მოხდა უკრაინაში.

მისივე განცხადებით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კუთხით არის კატასტროფა – არც ერთი პროექტი ვადაში არ ხორციელდება. ამას კი, მაჭავარინის თქმით, ნოდარ ჯავახიშვილის მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი ადასტურებს.

ოპოზიციონერი დეპუტატის პასუხად შერგელაშვილმა განმარტა, რომ სხვადასხვა პროექტებთან დაკავშირებით არსებობს საავანსო თანხების გადარიცხვის პრაქტიკა, საავანსო თანხის გაცემა შესაბამისი საბანკო გარანტიით კეთდება და ეს უბრალოდ მიცემული ფული არ არის.

თენგიზ შერგელაშვილი:

– რაკი კომპანიას შეექმნა პრობლემა და ნაწილობრივ იმ საფინანსო ინსტიტუტებსაც, ვისთანაც მას ჰქონდა ურთიერთობა, საშუალება გვქონდა, ერთის მხრივ ჩავრთულიყავით ძალიან გრძელ სამართლებრივ დავებში და პროექტი შეწყვეტილიყო, ხოლო მეორე მხრივ, აღგვედგინა მუშაობა.

მოლაპარაკებები გაიმართა და ივნისსივლისის თვიდან სამუშაოები დაიწყო. კი, ამ პროექტის შესრულების ვადა გადაიწევს, მაგრამ პროექტს რომ საფრთხე არ შეექმნას, ამაზე არის ყოველდღიური მუშაობა.

ინტერპრესნიუსი

ვინ იზრუნებს პატარების ემოციურ კეთილდღეობაზე

საბავშვო ბაღებში ფსიქოლოგებისა და ლოგოპედების გადამზადება დაიწყო

სკოლამდელი აღზრდის სისტემის ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა ხელი შეუწყოს ბავშვის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებასა და სხვადასხვა უნარ-ჩვევების ფორმირებას.

საბავშვო ბაგა-ბაღებში, სადაც პატარები დროის დიდ ნაწილს ატარებენ, მხოლოდ ბავშვების ჯანსაღ კვებასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა არაა საკმარისი, რადგან ახალ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვს გვერდში ჰყავდეს გამოცდილი ფსიქოლოგი და ლოგოპედი, რომ თითოეულ ბავშვს ინდივიდუალური მიდგომით დაეხმაროს გარემოსთან ადაპტაციასა და სირთულეების გადალახვაში, მშობელთან და აღმზრდელთან ერთად შეუწყოს ხელი ბავშვს ასაკის და შესაძლებლობის შესაბამისი უნარ-ჩვევების მაქსიმალურ განვითარებას.

აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგის და ლოგოპედის შტატი თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თითქმის ნახევარს არ აქვს. სწორედ ამიტომ, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ბაგა-ბაღის ფსიქოლოგები და ლოგოპედები გადამზადდებიან.

პარალელურ რეჟიმში მათი და სპეციალურ პედაგოგების სახელმძღვანელო, სამუშაო ინსტრუმენტები და გზამკვლევები შეიქმნება, რომლის შემდეგაც დედაქალაქის ყველა საბავშვო ბაღს ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ფსიქოლოგის, ლოგოპედის და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური პედაგოგის მომსახურება.

თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი **თემურ თორდინავა:**

– თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ერთ-ერთი ამოცანაა ყველა აღსაზრდელისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდება. როდესაც დავიწყეთ ბაგა-ბაღების საჭიროებების შესწავლა, აღმოვაჩინეთ, რომ მათ უმრავლესობაში არ არის ფსიქოლოგისა და ლოგოპედის შტატი. არადა, ამ პროფესიის ადამიანები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პატარების აღზრდა-განვითარებაში.

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს პრობლემა მოგვეგვარებინა. შედეგად, მომავალი წლიდან პროფესიონალი ფსიქოლოგი და ლოგოპედი ყველა ბაგა-ბაღს მოემსახურება, – აღნიშნავს თემურ თორდინავა.

ილიას უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის ადრეული განვითარების ცენტრის დირექტორი **ნინო ცინცაძე:**

– ტრენინგის თემატიკა დაგეგმილია ისე, რომ ის ყველა ძირითად კომპეტენციას მოიცავს, რომელიც ბაგა-ბაღების ფსიქოლოგებსა და ლოგოპედებს დასჭირდებათ ყოველდღიური საქმიანობის დროს.

ფსიქოლოგების შემთხვევაში ეს იქნება ბავშვის ემოციური კეთილდღეობის მხარდაჭერა, ქცევის პოზიტიური მართვა, ბავშვის განვითარების ეტაპებში კარგად გათვითცნობიერება, რათა მათთვის ბაღის აღმზრდელების დახმარება ადვილი იყოს.

გარდა ამისა, ტრენინგების დროს ბევრი საუბარი იქნება ფსიქოლოგისა და ლოგოპედის როლზე ბაღში.

პროექტის ფარგლებში ბაღში დასაქმებული ყველა ფსიქოლოგი და ლოგოპედი გადამზადდება, – აცხადებს ნინო ცინცაძე.

ბაღში ფსიქოლოგის არსებობის აუცილებლობაზე გვესაუბრება 83-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **ეკა გვრიტიშვილი.**

– ფსიქოლოგი ბაღში ჰაერივით მნიშვნელოვანი და აუცილებელზე აუცილებელია. ეს ჯანსაღ კვებასა და ჰიგიენაზე არანაკლებ პრიორიტეტული საკითხია, იმიტომ, რომ ბავშვის ფორმირება, პიროვნული თვისებების და მეტყველების განვითარება, ხდება ბაღის ასაკში და ამაში მთავარი როლი ფსიქოლოგს და ლოგოპედს ეკისრება, რომელიც ეხმარება აღმზრდელს ძალიან ბევრი ნიუანსის სწორად გაგებაში.

გარდა ამისა, როგორც ბავშვთა შორის კონფლიქტის მოგვარებაში შეუძლია ფსიქოლოგს ძალიან დადებითი როლი ითამაშოს, ასევე, დარწმუნებული ვარ, თანამშრომლებს შორის უფრო ჯანსაღი გარემო იქნება, რადგან ბევრი ურთიერთობის სწორად წარმართვა იქნება შესაძლებელი.

❖ ❖ ❖

ბაღის დირექტორი ფსიქოლოგის მუშაობის თავისებურებებსაც გვიხსნის:

– საწყის ეტაპზე ის მუშაობს დაკვირვების მეთოდით, პასიურ როლში აკვირდება ჯგუფში მიმდინარე პროცესებს, ბავშვებს შორის ურთიერთობებს, ასევე, ბავშვებსა და აღმზრდელს, თანაშემწეს შორის ურთიერთობებს; როგორც კი რაიმე გადაცდომას შეამჩნევს, მყისიერად ერთვება ვითარების უფრო სიღრმისეულად შესასწავლად, ჯერ ჯგუფის შიგნით მუშაობს, შემდეგ კი, თუკი გამოვლინდება ინდივიდუალური მუშაობის აუცილებლობა, ფსიქოლოგი მართვის სადავეებს უფრო აქტიურად იღებს.

კარასინი-აბაშიძის შეხვედრაზე აფხაზეთის რკინიგზის საკითხი არ განხილულა

გუშინ, 19 ნოემბერს, პრაღაში გაიმართა საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან.

ზურაბ აბაშიძის განცხადებით შეხვედრაზე, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა ფორმატით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს, მათ შორის სატრანსპორტო, სავაჭრო-ეკონომიკური და ჰუმანიტარული თემები.

საუბარი იყო რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის გამარტივებაზეც.

აბაშიძის თქმით, გარდა ამ საკითხებისა, საუბარი შეეხო ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ ადამიანების გატაცების და რუსეთში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ქართველების საკითხსაც.

– ჩვენ დავადასტურეთ ჩვენი უაღრესად უარყოფითი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რაც ხდება საოკუპაციო ხაზთან. აღვნიშნეთ, რომ ეს არის ელემენტარული ადამიანური ნორმების უგულვებელყოფა , რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო ნორმებსა და სამართალზე, – განაცხადა აბაშიძემ.

მისი თქმით, მიუხედავად კარასინის მხრიდან მცდელობისა, აფხაზეთის რკინიგზის საკითხის განხილვა შეხვედრაზე არ მომხდარა.

– ჩვენ ვუთხარით რომ ის ფორმულა, რაც მათი მხრიდან გაჟღერდა, არის აბსოლუტურად მიუღებელი, – აღნიშნა აბაშიძემ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გრიგორი კარასინს კომენტარი აღარ გაუკეთებია. შეხვედრის დაწყებამდე კი მან იმ საკითხებზე ისაუბრა, რომელთა განხილვასაც საქართველოს პრემიერის წარმომადგენელთან აპირებდა:

– უწინდებურად ვმუშაობთ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე. თუმცა, საკითხი მარტივად არ დგას იმ მოვლენების გამო, რომლებიც ახლა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთშია. გვინდა, რომ ამ პროცესებმა როგორღაც გვერდი აუაროს ჩვენი და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობას. თავდაუზოგავად ვმუშაობთ ამ თემებზე და ნამდვილად შეგვიძლია რაღაც საკითხები გადავჭრათ ამ სფეროში.

გარდა ამისა, ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურდა კონტაქტები ჩვენს არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის. მათ შორის სტუდენტურ ორგანიზაციებს, მეცნიერებს შორის, რაც ძალიან კარგია, რადგან ხალხს საშუალება აქვს, განიხილოს ყველა ის საკითხი, მათ შორის რთულიც, რომლებსაც აქ გავურბივართ, გასაგები მიზეზების გამო.

ამჯერად ჩვენი დელეგაცია გავაფართოვეთ. შევიყვანეთ ტრანსპორტის მინისტრის თანაშემწე და ამ სფეროში უფრო დეტალურად ვილაპარაკებთ, – განაცხადა გრიგორი კარასინმა.

მარგველაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომა 4 დეკემბრისთვის დანიშნა

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა 4 დეკემბერს 16:00 საათზე, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო ავრცელებს.

უშიშრების საბჭოს აპარატის ინფორმაციით, სხდომაზე, უშიშროების საბჭოს 23 სექტემბრის გადაწყვეტილების თანახმად, განიხილება ერთობლივი მუშაობის შედეგად გამოვლენილი საფრთხეების საპასუხო ქმედებები და თავდაცვის ორგანიზების სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან საბჭოს მუდმივი წევრები.

ინტერპრესნიუსი

გიორგი კვერენჩხილაძე: „მთავრობის ადმინისტრაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის პასუხი არ გაუცია“

– მთავრობის ადმინისტრაციას პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის, ქვეყნის პირველი პირის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში გაგზავნილი ოთხი მიმართვიდან არც ერთზე პასუხი არ გაუცია, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე აცხადებს.

კვერენჩხილაძე აღნიშნულ მოცემულობას სამწუხაროს უწოდებს და მთავრობას სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის, სახელმწიფო ორგანოთა შორის თანამშრომლობის და კოლეგიალობის პრინციპებს შეახსენებს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ადასტურებს, რომ პრეზიდენტის მიმართვებზე საპასუხოდ მთავრობას კანონმდებლობით კონკრეტული ვადები დაწესებული არ აქვს, თუმცა ხაზს უსვამს, რომ არსებობს „გონივრული ვადის და კანონის ანალოგიის პრინციპები“.

– უკვე თვეზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მთავრობას თხოვნით მიმართა მინისტრთა კაბინეტის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული ყოფილიყო საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგომატარებლების ტრანზიტის სფეროში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხი.

ამ წერილზე პასუხი დღემდე არ მიგვიღია და არა მხოლოდ ამ წერილზე. წელიწადზე მეტი ხნის წინ პრეზიდენტმა ასევე მისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მთავრობას უახლოესი სხდომის დღის წესრიგში ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და ნატოსთან არსებითი პაკეტის ინპლემენტაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხის გათვალისწინების თხოვნის უზრუნველყოფითაც მიმართა, თუმცა რეაგირება არც მას მოჰყოლია.

მეტიც, დაახლოებით 10 თვის წინ აღმასრულებელ ხელისუფლებას კვლავ შევახსენეთ მთავრობის სხდომაზე აღნიშნული საკითხის გათვალისწინების წინადადება, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხი ისევ არ მიგვიღია.

გარდა ამისა, დაახლოებით 2 თვის წინ პრეზიდენტმა მთავრობას შესათანხმებლად წარუდგინა სემეკის წევრობის ვაკანტურ თანამდებობებზე ორი კანდიდატურა, რასაც ასევე ამ დრომდე არ მოჰყოლია რეაგირება.

პასუხისთვის კონკრეტული ვადები, რა თქმა უნდა, კონსტიტუციით დადგენილი არ არის (იდეაში ეს ვადები მთავრობის რეგლამენტით უნდა იყოს განსაზღვრული, თუმცა ასე არაა), თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგადად არსებობს გონივრული ვადის პრინციპი, კანონის ანალოგიის პრინციპი, არსებობს სამართლის ანალოგიის პრინციპი ანუ, როდესაც მსგავს საკითხზე ვადა არის დადგენილი და კონკრეტულ სხვა საკითხზე – არა, შეგიძლია ანალოგიურ საკითხთან დაკავშირებით დადგენილი ვადით იხელმძღვანელო.

მაგალითად, კონტრასიგნაციაზე, რომელიც პრეზიდენტის და მთავრობის ურთიერთობის ერთ-ერთი შემადგენელი მექანიზმია, არსებობს 10 დღიანი ვადა. შეგიძლია იხელმძღვანელო ამ ვადით. აქედან გამომდინარე, მე ვერ ვიტყოდი, რომ ამ შემთხვევაში ვადის დარღვევა არ ხდება.

გარდა ამისა, არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, სახელმწიფო ორგანოთა შორის თანამშრომლობის პრინციპი და კოლეგიალობის პრინციპი. მხოლოდ ამის თქმა შემიძლია ამ საკითხზე“, – განაცხადა კვერენჩხილაძემ.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა მაია ცქიტიშვილმა დღეს ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ ენერგოუსაფრთხოების საკითხის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განხილვის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წერილობით მიმართვაზე პასუხი ჯერ არ გაუციათ.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

ბარაქ ობამა: „ჩვენი მიზანი რუსეთთან კონსტრუქციული პარტნიორობაა!“

ამერიკულმა დიპლომატიამ რუსეთთან ურთიერთობების დასარეგულირებლად უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა. ამის თაობაზე პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა.

– ჩვენ მუდამ რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას ვცდილობდით, თუმცა მოსკოვის სახით საქმე ჭირვეულ პარტნიორთან გვაქვს, – თქვა ობამამ.

პრეზიდენტი სირიაში შექმნილ ვითარებაზე დეტალურად შეჩერდა. მან აღნიშნა, რომ რუსეთი არა იმდენად ტერორისტების წინააღმდეგ, არამედ ხელისუფლებაში ასადის დარჩენისათვის იბრძოდა.

– რუსული ყუმბარების სამიზნე უმეტესწილად ზომიერი სირიული ოპოზიცია გახლდათ, – თქვა პრეზიდენტმა და დაამატა, რომ ამგვარმა მიდგომამ ისლამურ სახელმწიფოს წისქვილზე დაასხა წყალი. დღევანდელი გართულებული მდგომარეობაც ამან განაპირობა.

– მიუხედავად ამისა, ჩვენ რუსეთთან დიალოგს მაინც განვაგრძობდით, – აღნიშნა ობამამ.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკელი დიპლომატების ძალისხმევამ შედეგები გამოიღო. ეს ვენის შეხვედრაზეც გამოჩნდა.

– რუსები ძველებურად კუნთებზე აღარ იყურებოდნენ, აღარც იარაღს აჟღარუნებდნენ. ახლა სირიის საკითხში რუსეთი ჩვენი კონსტრუქციული პარტნიორია, – თქვა ობამამ.

ამავე დროს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასადის პერსონა კვლავ განხეთქილების ვაშლად დარჩა.

– პუტინი ასადის ხელისუფლებაში დარჩენას მოითხოვს, მაგრამ უკვე არა ისე კატეგორიულად, როგორც ადრე, – თქვა ობამამ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი მიიჩნევს, რომ კრემლი იძულებული გახდება, ასადს შეელიოს.

– ჩემი აზრით, ეს თვით პუტინსაც უკვე კარგად ესმის, – აღნიშნა მან.

ჟურნალისტებთან საუბრისას ქერიმ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან საუბრის შინაარსიც მოიყვანა. ლავროვმა ასადის წასვლაზე თანხმობა განაცხადა.

– მან მითხრა, რომ თუ ასადი წავა, ეს ქაოტურად არ უნდა მოხდეს, ანუ არ უნდა განმეორდეს ის, რაც ლიბიაში მოხდა, – თქვა ქერიმ.

ამავე დროს, თეთრი სახლი რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების შენარჩუნების მომხრეა. ეს პოზიცია სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდმა გაახმოვანა.

– სანქციები უნდა შენარჩუნდეს მანამ, სანამ მინსკის სამშვიდობო პროცესი არ დასრულდება, – განაცხადა ნულანდმა.

მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის ურთიერთობის ნორმალიზების პერსპექტივები გამოიკვეთა.

– თუკი ტერორიზმთან ბრძოლაში ჩვენი ქვეყნები მჭიდროდ ითანამშრომლებენ, არა მხოლოდ ტერაქტების თავიან აცილება, არამედ ტერორიზმის, როგორც ასეთის, განადგურდება მოხერხდება, – თქვა ნულანდმა.

ამავე დროს, მან დონბასში უკანასკნელ ხანს გახშირებულ პროვოკაციებზე დაწვრილებით ისაუბრა. ნულანდმა ხაზი გაუსვა, რომ მდგომარეობა დონბასში რუსეთის გამოისობით დაიძაბა.

– ასე რომ, სანქციების გაუქმებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. პირიქით, სანქციების არსებობა რუსეთს უფრო პასუხისმგებლიანს გახდის, – აღნიშნა ნულანდმა.

ქერი: „ორ კვირაში, შესაძლოა, სირიაში მშვიდობა დამყარდეს“

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ შესაძლოა ორ კვირაში სირიაში მშვიდობა დამყარდეს.

– მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა. მოლაპარაკებებში ჩვენთან ერთად ჩაბმულნი არიან რუსეთი და ირანი, – თქვა ქერიმ.

მან განაცხადა, რომ რაღაც კონტურები უკვე გამოიკვეთა და შესაძლოა მალე ცეცხლის შეწყვეტასაც მივაღწიოთ.

– დღეს სირიაში მიმდინარეობს როგორც ომი ტერორისტებთან, ასევე ომი ასადის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შორის. ჩვენი ამოცანაა, ასადის მომხრეები და მოწინააღმდეგენი მოლაპარაკებების მაგიდასთან დავსვათ და მათ შორის საომარი მოქმედებების შეჩერებას მივაღწიოთ, – თქვა ქერიმ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის აზრით, ცეცხლის შეწყვეტა მხოლოდ პირველი ეტაპია. მეორე ეტაპი სირიული ოპოზიციის ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმაა.

– სახმელეთო ოპერაცია ეფექტური მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი მას არა უცხოური სპეცრაზმები, არამედ ადგილობრივი ძალები ჩაატარებენ, – ამბობს ქერი.

მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სანამ ასადი ხელისუფლებაში რჩება, სირიაში მშვიდობა ვერ დამყარდება.

– ასადის წასვლა აშშ-ს ახირება არაა. ამ კაცმა სირიის მოსახლეობის უმრავლესობა აიმხედრა. სანამ ასადი ხელისუფლებაშია, სირიაში მშვიდობა ვერ აღდგება, – თქვა ქერიმ.

მაიდნის დაშლის ბრძანება იანუკოვიჩმა გასცა

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „ქელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ევრო-რევოლუციის დროს მაიდნის დარბევის როგორც პირველი, ისე უკანასკნელი ბრძანება ვიქტორ იანუკოვიჩმა გასცა.

ამის თაობაზე უკრაინის გენერალური პროკურატურა იუწყება. ბრძანების შესრულებაზე პასუხს აგებდნენ უკრაინის შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ზახარჩენკო და კიევის მილიციის იმჟამინდელი უფროსი კორიაკი.

გენპროკურატურამ ისიც დაადგინა, რომ დარბევაში ჩაბმული იყვნენ როგორც სპეცდანაყოფ ბერკუტის მებრძოლები, აგრეთვე აგენტი-პროვოკატორები და დაქირავებული ხულიგნები, ე.წ. ტიტუშკები. მათ დაურიგდათ ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის ავტომატებიც.

– როგორც ჩანს, დაგეგმილი იყო პროვოკაცია. მომიტინგეთა რიგებში მყოფ პროვოკატორებს მილიციელებისთვის ცეცხლი უნდა გაეხსნათ და დაეხოცათ. ამის შემდეგ ავტომატებით აღჭურვილი ბერკუტი მშვიდობიან მომიტინგეებს დაერეოდა, – იტყობინება გენპროკურატურა.

საინტერესო დეტალები გაირკვა ჟურნალისტ ერემეისა და აქტივისტ ნიგოიანის მკვლელობის შესახებაც. ისინი გრუშევსკის ქუჩაზე მომხდარი შეტაკებისას დაიღუპნენ. უკრაინის გენპროკურატურის ცნობით, ორივე მათგანი სპეცტყვიითაა მოკლული, რომლებსაც სპეცსამსახურები იყენებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნიგოიანს იმ შენობის სახურავიდან ესროლეს, რომლის წინაც ბერკუტი იდგა. ეს ექსპერტიზის შედეგად დადგინდა. ბერკუტის არც ერთ თანამშრომელს მკვლელის დაკავება არ უცდია.

პარიზის ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორი ლიკვიდირებულია?

© picture-alliance/dpa UNPOLITIC

პარიზის ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორი აბაუდი პარიზის გარეუბან სენ-დენიში პოლიციასთან შეტაკებისას დაიღუპა.

მან დაკავებისას პოლიციელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია და ლიკვიდირებულ იქნა.

პარიზის პროკურორმა მოლენმა განაცხადა, რომ სენ-დენიში ჩატარებული ოპერაციის შედეგად დაკავებულია 8 ტერორისტი, 2 კი ლიკვიდირებულია. მოლენის აზრით, პარიზის ჩრდილოეთ რაიონში ჩატარებულ ოპერაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

– ჯგუფი, რომელიც გავანადგურეთ, პარიზში ახალ ტერაქტებს ამზადებდა, – თქვა მოლენმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ვასწავლი

● პროფესიონალი გიტარისტი და მომღერალი შევასწავლი გიტარაზე და ფანდურზე დაკვრას და სიმღერას ხმის დამუშავებით (მათ შორის, დაბალი სმენითი მონაცემების მსურველებსაც – რეალური შედეგით), კარგი მონაცემების შემთხვევაში საინტერესო პერსპექტივით სცენასთან დაკავშირებით. მიმდინარეობს შევსება, ასაკი შეუზღუდავია. ტელ: 599-72-00-42; 558-35-39-60; 279-07-72.

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატესის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● სმენის აღდგენა სწრაფად, წამლების, აპარატურისა და ოპერაციის გარეშე, გამომწვევი მიზეზისა და ასაკის მიუხედავად. პაციენტები მიიღებიან მხოლოდ წინასწარი ჩაწერით. ფასი 300 ლარი. მის: დიდი დიღომი, III მ/რ, კორპუსი 20. ტელ: 599-97-85-46 ლევანი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● მაღალკვალიფიციური ონკო-დერმატოლოგი უოპერაციოდ, წარმატებით მკურნალობს: ბაზალიომას, კერატომას, ჰიპერკერატოზს, მელანომას, გრანულომას, პაპილომას, ათერომას, კონდილომას, ჰემანგიომას, ხალებს, რთულ მეჭეჭებს, კოჟრებს (მაზოლებს), ქუთუთოებში ქოლესტერინის დაგროვებას, წანაზარდებს სასქესო ორგანოებზე და ყოველგვარ მსგავს ხორცმეტებს. გირჩევთ დროზე მოიშოროთ საშიში წარმონაქმნები! მის: რევაზ ლაღიძის 8 (ოპერის უკან), კლინიკა „მედიკომი“, კაბ. 322, მობ: 599-90-91-74.

იყიდება

● ან გირავდება ბინა 3 ოთახი დიღმის მასივში, 87 კვადრატული მეტრი. ძველი რემონტით, გეპეის კორპუსში, ან მთლიანად 186 კვადრატული მეტრი. ტელ: 568-00-22-20 თამარი.

კალეიდოსკოპი



სანტას მუხლზე ჩამოჯდომა 50 დოლარი ღირს

ამერიკის ნიუჯერსის შტატის ქალაქ ჩერიჰილის სავაჭრო ცენტრში მომუშავე სანტა-კლაუსი ბავშვების მშობლებისგან მასთან სურათის ან ვიდეოს გადაღებისთვის 35-დან 50 დოლარამდე თანხას იღებს. ეს გადაწყვეტილება სავაჭრო ცენტრის ხელმძღვანელობამ მიიღო. ეს მომსახურება გათვალისწინებულია საბავშვო პროგრამის „მოგზაურობა სანტასთან“ ფარგლებში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბევრი მშობელი ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს, ვინაიდან, მათი აზრით, ახალი წესები „საზეიმო სულისკვეთებას ეწინააღმდეგება“. მათი თქმით, საშობაო ფოტოსურათი შესაძლოა მიუწვდომელი აღმოჩნდეს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვის.

საბავშვო პროგრამა სანტას, მულტფილმ შრეკის პერსონაჟებითა და მომღერალი ელფებით დახურულ პავილიონში გაიმართება, რომელიც დროებით განთავსდება სავაჭრო ცენტრის შენობაში. ამის გამო მისი ნახვა მხოლოდ ბილეთის შეძენის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

– სანტა ჩვენთვის ჩაიკეტა. ბავშვები უბრალოდ მის ნახვასაც კი ვერ შეძლებენ, – აღნიშნა ორი შვილის დედამ ელზა ანზიდემ და იქვე დაამატა, რომ სანტასთან ფოტოსურათისთვის ფულის გადახდას ზოგიერთ სხვა დაწესებულებაშიც ითხოვდნენ, თუმცა ბავშვებს უფასოდ შეეძლოთ მის მუხლებზე ჩამომსხდარიყვნენ.

მსოფლიოში ყველაზე უხუცესი ახლად დაქორწინებულები ბრიტანელები გახდნენ

ბრიტანელები 103 წლის ჯორჯ კირბი და 91 წლის დორინ ლაკი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდნენ, როგორც მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ახლად დაქორწინებულები.

წყვილმა 2015 წლის ივნისში 27 წლიანი ურთიერთობის შემდეგ იქორწინა. ამის შემდეგ ისინი ხუთი თვის მანძილზე ელოდებოდნენ ამ მიღწევის დადასტურებას.

საქორწინო ცერემონია მიმდინარე წლის ივნისში ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ისტბორნის სასტუმროში გაიმართა. საზეიმო ცერემონია სასიძოს დაბადების დღეს დაემთხვა, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ისინი სიცოცხლის ბოლომდე ერთად იქნებიან.

საქორწინო ღონისძიების დროს დორინს ცისფერი ყვავილებით გაფორმებული თეთრი კაბა ეცვა, ხოლო ტრადიციულ კოსტუმში გამოწყობილი სიძე მიღებული ტრავმის გამო ინვალიდის ეტლში იჯდა.

ქორწილის დღეს ახლად დაქორწინებულთა საერთო ასაკი 194 წელს და 280 დღეს შეადგენდა. წინა რეკორდსმენების საერთო ასაკი 191 წელს და 126 დღეს შეადგენდა.

სარკე სელფისთვის

ამერიკულმა კომპანიამ სმარტ ლტდ-მ შექმნა სარკე, რომელსაც სელფის გადაღება მობილური ტელეფონი ან ფოტოაპარატის გამოყენების გარეშე შეუძლია.

ახალი პროდუქციის სადემონსტრაციო ვიდეოში ნათქვამია, რომ სარკეს პროფესიონალური ფოტოსურათის ან ვიდეოს გადაღება შეუძლია, რომლის განთავსება ინსტაგრამში ან იუთუბიზეა შესაძლებელი. მოწყობილობა სენსორული პანელის დახმარებით იმართება.

სურათებს ფარული კამერა იღებს, რომელიც სარკის ზედაპირზეა განთავსებული. ის აღჭურვილია მოძრაობის სენსორებით, შეუძლია თვალთვალის რეჟიმში იმუშაოს და სახლში მიმდინარე მოვლენები უსადენო კავშირის დახმარებით მფლობელს სმარტფონზე ფოტოსურათების ან ვიდეოს სახით გადაუგზავნოს. გარდა ამისა, ჩამონტაჟებული დინამიკების დახმარებით სარკეს მუსიკის ჩართვაც შეუძლია.

ახალი მოწყობილობის ფასი შეკვეთილ ზომებზე იქნება დამოკიდებული. 68,5X119,3 სანტიმეტრი ზომის სარკის ფასი 250 დოლარია, ხოლო 68,5X80 სანტიმეტრის სარკის ფასი 200 დოლარს შეადგენს.

შვედის გადამრჩენელი კატა წლის გმირად აღიარეს

ხანძრისგან პატრონის გადამრჩენელი კატა, სახელად ჰალე, ცხოველთა შორის წლის გმირად აღიარეს. შინაურმა ცხოველმა ეს არაოფიციალური წოდება შვედეთის ეროვნული ტელეარხის საღამოს შოუს ეთერში მიიღო.

ჰალემ თავისი პატრონი, ქალაქ კარლსკრუნის მცხოვრები, 23 წლის ანი ნარვეფოში იმ დროს გააღვიძა, როდესაც მის მიერ დასატენად ჩართულმა ტელეფონმა ბოლი გაუშვა. გოგონას თქმით, გაღვიძებისთანავე დამწვარი პლასტიკატის სუნი იგრძნო და მაშინვე შეეცადა აალების მიზეზის ლიკვიდირებას.

ამ შემთხვევის შემდეგ კატა სოციალური ქსელების შვედი მომხმარებლების საყვარელ არსებად იქცა, ამ პოპულარობამ კი ის და მისი პატრონი ეროვნულ ტელეარხზე მიიყვანა, სადაც ჰალეს საპატიო სიგელი და საჩუქრები გადასცეს (კერძოდ, მოხდენილი საყელური, სათამაშოები და საკვები).

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პლეი ოფის სიმბოლური ნაკრები და კალათები

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის უკანასკნელი 4 საგზური სანაკრებო პაუზის დროს საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი ოფში გათამაშდა. კონტინენტის პირველობაზე თამაშის უფლება უნგრეთმა, ირლანდიამ, უკრაინამ და შვედეთმა მიიღეს.

პლეი ოფის დასრულების შემდეგ უეფამ სიმბოლური ნაკრები შეადგინა, რომელშიც ყველაზე მეტი მოთამაშე უკრაინის ნაკრებიდან მოხვდა.

უეფას სიმბოლური ნაკრები ასე გამოიყურება: კირალი (უნგრეთი), შევჩუკი (უკრაინა), ცეზარი (სლოვენია), კიოგი (ირლანდია), ფედეცკი (უკრაინა), იარმოლენკო (უკრაინა), მაკარტი (ირლანდია), ფორსბერგი (შვედეთი), სელეზნიოვი (უკრაინა), უოლტერსი (ირლანდია), იბრაჰიმოვიჩი (შვედეთი).

პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშედ უნგრეთის ნაკრების 40 წლის კიპერი, გაბორ კირალი დასახელდა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შემთხვევაში, ტურნირის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი გახდება.

უეფამ საუკეთესო გოლიც დაასახელა და მისი ავტორი შვედეთის ნაკრების კაპიტანი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი გახდა.

ევროპის ჩემპიონატზე 24-ვე გუნდის დაკომპლექტების შემდეგ, უეფას ინფორმაციით, 12 დეკემბერს გასამართ კენჭისყრამდე ოთხ კალათაში ეროვნული ნაკრებები ასე გადანაწილდნენ:

1 კალათა: ესპანეთი, გერმანია, ინგლისი, პორტუგალია, ბელგია

2 კალათა: იტალია, რუსეთი, შვეიცარია, ავსტრია, ხორვატია, უკრაინა

3 კალათა: ჩეხეთი, შვედეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი

4 კალათა: თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, უელსი, ალბანეთი, ჩრდილოეთ ირლანდია.

საფრანგეთი, როგორც მასპინძელი, კენჭისყრაში არ მონაწილეობს და ევროპის ჩემპიონატზე ა ჯგუფში ითამაშებს.

კენჭისყრის შედეგად 24 გუნდი 6 ჯგუფში გადანაწილდება და თითო ჯგუფში 4 ნაკრები იქნება. მერვედფინალში ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე ნაკრებები და ასევე, 4 საუკეთესო შედეგის მქონე მესამეადგილოსნები გავლენ.

ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი 2016 წლის 10-22 ივნისს ჩატარდება. მერვედფინალის მატჩები 25, 26, 27 ივნისს გაიმართება. მეოთხედფინალური შეხვედრები 30 ივნისს, 1 ივლისს, 2 ივლისსა და 3 ივლისს შედგება. ნახევარფინალები 6-7 ივლისსაა დაგეგმილი, ხოლო ფინალი – 10 ივლისს.

ყრილობამ ახალი აღმასკომი დაამტკიცა, კვარაცხელიას ლოგოს შეცვლა უნდა

გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგით 25-ე რიგგარეშე ყრილობა, რომლის მთავარი მიზანი ახალი აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა იყო.

ყრილობა სფფ-ის პრეზიდენტმა გახსნა.

საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო რამდენიმე დღის წინ ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელის, თენგიზ ფერსელიძის ხსოვნას. გაიხსენეს 18 ნოემბერი – ქართულ ფეხბურთში დიდი გამარჯვების დღე, როდესაც 1964 წელს თბილისის დინამომ პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. ამ ფაქტთან დაკავშირებით ლევან კობიაშვილმა ვეტერან დინამოელებს, ილია დათუნაშვილსა და ვლადიმერ ბარქაიას, საჩუქრები გადასცა.

სფფ-ს პრეზიდენტმა წარმატება მიულოცა 19 წლამდე ნაკრებსაც, რომლებიც ელიტ რაუნდში გავიდნენ.

კობიაშვილამდე ყრილობის მონაწილეებს სიტყვით მიმართა უეფას სპეციალურმა წარმომადგენელმა ჟაკ ბონდალემ. მის შემდეგ სიტყვით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ტარიელ ხეჩიკაშვილი გამოვიდა.

დელეგატებმა ლევან კობიაშვილის ინიციატივა დაამტკიცეს, რომლის მიხედვითაც ახლად არჩეულ აღმასკომში 18-ის ნაცვლად 11 წევრი იქნება.

ყრილობის რეგლამენტის თანახმად არჩეულ იქნა ხმის დამთვლელი კომისია. ყრილობაზე მეორე საკითხად სფფ-ის წესდებაში შესატანი ცვლილებები განიხილებოდა. ეს ცვლილებები ერთხმად დამტკიცდა და აღმასკომის შემადგენლობა 11 ადამიანით განისაზღვრა.

ფარული კენჭისყრის შედეგად დელეგატებმა აღმასრულებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით აირჩიეს:

ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, ნიკა ჯღარკავა, აკაკი ალადაშვილი, კახა ჭუმბურიძე, ბესიკ ჩიხრაძე, რომან ფიფია, თენგიზ სულაქველიძე, ნინო სორდია, ილია ინჯია, გოჩა ჯამარაული.

ალექსანდრე იაშვილი პირველი მოქმედი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს. ასეთი პრეცედენტი ქართულ ფეხბურთში არ ყოფილა, მაგრამ ეს ევროპულ ფეხბურთში არაერთხელ მომხდარა. ახლად არჩეული აღმასკომი უახლოეს მომავალში შეიკრიბება და ვიცე-პრეზიდენტებსაც დაასახელებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

უკანონო ნადირობის ფაქტზე 7 პირი გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანაშრომლებმა უკანონო ნადირობის ფაქტზე 7 პირი გამოავლინეს.

თიანეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე იორის ხეობაში სამართალდამრღვევებმა მურა დათვი და შველი მოინადირეს.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მოხდა სამართალდარღვევის ჩადენის იარაღებისა და უკანონოდ მოპოვებული ნანადირევის ამოღება.

მურა დათვი წითელი ნუსხით დაცული სახეობაა.

მურა დათვის და შვლის უკანონო მოპოვებაზე, გარემოსთვის მიყენებულმა ზიანმა საერთო ჯამში 55.000 ლარი შეადგინა.

ფაქტი შეიცავს სისხლის სამართლის ნიშნებს, მასალები შემდგომი რეაგირებისთვის, შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა.

ნიუსპრესი

შედეგები

კალათბურთი

19 ნოემბერი

ნბა. ჩეგეცარული სეზონი

ჩარლოტი-ბრუკლინი 116:111
ორლანდო-მინესოტა ..... 104:101 (ოტ)
ფილადელფია-ინდიანა 85:112
ბოსტონი-დალასი 102:106

ზაზა ფაჩულია: 14 ქულა, 12 მოხსნა

ატალანტა-საკრამენტო 103:97
ჰიუსტონი-პორტლენდი .... 108:103 (ოტ)
სან ანტონიო-დენვერი 109:98
იუტა-ტორონტო 93:89
ფინიქსი-ჩიკაგო 97:101

ჩოგბურთი

ატპ. მემაჯამებელი ტურნირი

მიურეი-ნადალი 4:6;1:6
ვავრინკა-ფფერერი 7:5;6:2

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა იწვევს ვიტილიგოს

არსებობს დაავადებები, რომელთა განვითარებაში ნაწილობრივ დამნაშავენი თავად ვართ. ასეთს მიეკუთვნება ვიტილიგო – კანის დაავადება, რომლის დროსაც კანის პიგმენტაცია ირღვევა. ის ხშირად 20 წლამდე და საშუალო ასაკის ქალებში გვხვდება. ვლინდება თეთრი ლაქების სახით, რომლებიც პიგმენტ მელანინს მოკლებულები არიან.

ვიტილიგო იშვიათი დაავადებაა და დაკავშირებულია ორგანიზმში ფერმენტ თიროზინაზის არარსებობასთან, რომელიც მელანინის გამომუშავებაში მონაწილეობს.

დაავადების რისკფაქტორებია: ბანალური მოწამვლა, იმუნურ სისტემაში უთანხმოება, ნერვული სისტემის მოშლილობა, ხშირი სტრესი, შინაგანი ორგანოების ავადმყოფობები, ქრონიკული, ანთებითი დაავადებები, მზით დამწვრობა, ენდოკრინული პათოლოგიები, მემკვიდრეობა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი რისკფაქტორია ცნობილი, დაავადების ზუსტი მიზეზის დასახელება არავის შეუძლია.

უფრო სწორი იქნება, ვიტილიგო არა დაავადებად, არამედ სერიოზულ დაავადებებზე ორგანიზმის რეაქციად ჩაითვალოს. ეს არის ლაკმუსის ქაღალდი, რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ფარულ პრობლემებს ავლენს.

ვიტილიგოთი დაავადებულებში ხშირად გვხვდება ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები, ამიტომ კომპლექსურ თერაპიაში ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციის გასაუმჯობესებელი პრეპარატებია ჩართული. კანზე თეთრი ლაქების პროვოცირება შეუძლიათ პარაზიტებს – ლამბლიებს და ჰელმინთებს (ჭიებს). ისინი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ნორმალურ მოქმედებას არღვევენ და ორგანიზმში სპილენძის უკიდურეს დეფიციტს იწვევენ. ხშირად ვიტილიგოს თანმხლებია ფარისებური ჯირკვლის დაავადებები, კუჭის მჟავიანობის დარღვევა, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

ვიტილიგოს განკურნება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ უკვე არსებული ლაქების შემცირება და ახლების თავიდან აცილება თანამედროვე ესთეტიკური მედიცინით შეიძლება. ვიტილიგოთი დაავადებულები მზის პირდაპირ სხივებს უნდა მოერიდონ. მკურნალობისას ვიტამინური თერაპია, სინათლის მიმართ მგრძნობელობის ასამაღლებელი პრეპარატები ინიშნება. ასევე გამოიყენება ლაზერული თერაპია და დონორის კანის გადანერგვა.

• • •

გარეგანი გამოყენებისთვის ეფექტურია ბერგამოტის, ნიგვზის, ევკალიპტის ზეთები, ვარდკაჭკაჭას ექსტრაქტი.

სასარგებლოა კრაზანას ზეთში დასველებული მარლის ლაქებზე დადება.

1 სუფრის კოვზი კრაზანის ბალახი, 3 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი და 2 სუფრის კოვზი მზესუმზირის ზეთი 1 თვე დააყენეთ. გაწურეთ და დაზიანებულ ადგილებზე შეიზილეთ.

ნიახურის თესლების 20%-იანი ნაყენი შინაგანად მისაღებად დღეში 3-ჯერ 30 წვეთი ინიშნება, ასევე პიგმენტაციის კერაზე გარედან წასასმელად გამოიყენება.

ანწლი კიბოს წინააღმდეგ

ანწლი ყვავილოვან მცენარეთა გვარს, ტყავისებრთა ოჯახს მიეკუთნება. ბუჩქები ან მცირე ზომის ხეებია, იშვიათად კი მრავალწლოვანი ბალახები. ანწლის ფოთლები ფრთისებრია, მოპირისპირედ განლაგებული, ყვავილები ხუთწევრიანი, აქტინომორფული, ფარის ან ქოლგის მსგავსად შეკრებილი. ნაყოფი წვნიანი, შავი ან წითელი კენკრაა. გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ზომიერ და სუბტროპიკულ ზონებში (გარდა ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკისა).

ცნობილია 40 სახეობა. მათ შორის საქართველოში 2 – დიდგულა (შამბუცუს ნიგრა) და საკუთრივ ანწლი (შამბუცუს ებულუს), რომელიც მყარალი ბალახოვანი მცენარეა. აქვს სწორი 0,5-1,5 მ სიმაღლის დაგან დამზადებულ ჯემს იყენებენ ტუბერკულოზისა და ბუასილის სამკურნალოდ. ფესვების ნახარშს – თერკმლების დაავადებისას; ყვავილების ნახარშს – გაძნელებული შარდვისას; ფოთლების ნახარშს – ნაწლავების კოლიტისას. ასევე გამოიყენება სასუნთქი გზების კატარის, ნევრალგიის, რევმატიზმის, ჭინჭრის დაავადების, ნიკრისის ქარის სამკურნალოდ.

ანწლს ჩვენი წინაპრები ოდითგანვე იყენებდნენ, ძირითადად კუჭნაწლავის დაავადებების სამკურნალოდ, თუმცა აღმოჩნდა რომ ის სხვა ხვეყნების ხალხურ მედიცინაშიც არაერთი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება.

ყველაზე მთვარი კი მისი სიმსივნის წინააღმდეგ გამოყენებაა, რეცეპტი ძალიან ადღარული ღერო, საგველასებრ ყვავილედებად შეკრებილი ყვავილები, მრგვალი შავი ნაყოფი. იზრდება ტყის სარტყელში – ფოთლოვან ტყეებში.

ტყის პირებზე და სხვა ადგილებში, ზოგჯერ ქმნის რაყას. ყვავილი შეიცავს ეთეროვან ზეთს; ნაყენს მედიცინაში იყენებენ.

სამკურნალოდ გამოიყენება: ფესვი, ნაყოფი, ყვავილი, ფოთოლი, ყლორტი. ფესვი შეიცავს: მწარე და მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონს; ნაყოფი-ეთერზეთებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავეებს, პექტინს, შემფერ ნივთიერებას, ამიგდალინს, ვიტამინ ცეს; ყვავილი – სახაროზას, ეთერზეთებს, გლიკოზიდს. ანწლს გააჩნია ბიოლოგიური აქტივობა. არის შარდმდენი, ოფლმდენი, დიაბეტსაწინააღმდეგო, ანტისეპტიკური და ამოსახველებელი საშუალება.

ხალხურ მედიცინაში მისვილი მოსამზადებელია და ის კურნავს, სიმსივნეს, ასევე ძალიან კარგია პროფილაქტიკისთვისაც.

შეაგროვეთ მწიფე ანწლის მარცვლები, ჩავყაროთ ფენა-ფენა მშრალ, სუფთა მინის ჭურჭელში, დაახლოებით 1სმ კენკრა შემდეგ შაქარი და ასე შემდეგ ვიდრე არ გავავსებთ ბოლომდე მინის ჭურჭელს და დავდგათ 1 თვემდე გრილ ადგილას. შემდეგ მიღებული ექსტაქტი გაწურეთ და მიიღეთ დღეში სამჯერ ერთი სუფრის კოვზი ჭამის შემდეგ, ხოლო ჭამამდე 10 წუთით ადრე დალიეთ 150გრ. გამოხდილი წყალი. მკურნალობის კურსია 45 დღე. ერთი თვის შემდეგ ისევ გაიმეორეთ. სამი ასეთი სეანსი და შედეგით გასაოცარი დადგება.

პროფილაქტიკისთვის კი საკმარისია ერთი ასეთი კურსი წელიწადში. ძალიან სასარგებლოა და არაფერს ვნებს.

რა სიმპტომები ახასიათებს ჩუტყვავილას

ჩუტყვავილა არის მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც ადვილად გადამდებია (თითქმის 100%-ში). ის ძირითადად ბავშვთა ასაკში გვხვდება და ახასიათებს ბუშტუკოვანი გამონაყარი კანზე და ლორწოვანზე.

ჩუტყვავილას გამომწვევია ვირუსი – ჰერპეს ზოსტერი, რომელიც მოზრდილებში სარტყლოვან სირსველს იწვევს.

ინფექცია გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით, იგი ადვილად ვრცელდება ჰაერის ჭავლით, მაგრამ გარემოში არამდგრადია და სწრაფად იღუპება, ამიტომ ჩუტყვავილას გადადება მესამე პირის ან ნივთების საშუალებით შეუძლებელია. ინფექციის წყაროა მხოლოდ ჩუტყვავილით ავადმყოფი ბავშვი დაავადების პირველი დღიდან უკანასკნელი ქერქის ჩამოცლამდე.

ჩუტყვავილა ტოვებს მყარ იმუნიტეტს. თუმცა, ჰერპეს ზოსტერ-ის ვირუსი ხანგრძლივად ფიქსირდება მალთაშუა განგლიებში და რამდენიმე წლის შემდეგ, რომელიმე არასპეციფიკური გამაღიზიანებლის ზემოქმედების შედეგად შესაძლოა განვითარდეს სარტყლოვანი სირსველი.

ორგანიზმში ჩუტყვავილას ვირუსის შეჭრის შემდეგ ვითარდება ვირუსემია (ვირუსი მრავლდება სისხლის ანუ ჰემატოგენური გზით), ფიქსირდება ეპიდერმისში (კანის ზედაპირული შრე) და იწყებს გამრავლებას, აზიანებს უჯრედებს, რის გამოც წარმოიშვება ლიმფის შემცველი ერთკამერიანი ბუშტუკები. თანდათანობით ხდება პროცესის უკუგანვითარება – იწყება ლიმფის შეწოვა და თხელი ქერქის წარმოქმნა, ამ ქერქის ადგილას რჩება ნაზი ნაწიბური, რომელიც მალე შეივსება და ქრება.]

მძიმე შემთხვევებში ასეთი გამონაყარი ჩნდება შინაგან ორგანოებზეც: ფილტვებში, თირკმელებში, ღვიძლში და სხვ.

ჩუტყვავილას კლინიკური მიმდინარეობა საკმაოდ თავისებურია – ინკუბაციური პერიოდი 2-3 კვირას გრძელდება. დაავადება იწყება გამონაყარით, რომელსაც წინ უსწრებს ტემპერატურის მომატება, ზოგადი დისკომფორტი.

გამონაყარი პირველად თავის თმიან ნაწილში და სახეზე ჩნდება, შემდეგ ვრცელდება მთელ სხეულზე, იშვიათად ლორწოვანზეც. გამონაყარი დასაწყისში ლაქოვან-კვანძოვანია, სწრაფად გადადის ბუშტუკოვან ფორმაში და 2-3 დღეში უჩნდება თხელი ქერქი.

ჩუტყვავილას დროს გამონაყარი ტალღისებურად მიმდინარეობს, რის გამოც კანზე ერთდროილად გვხვდება გამონაყარის ყველა ელემენტი: კვანძი, ბუშტუკი და ქერქი. გამონაყარის ყოველ ახალ ტალღას წინ უძღვის ტემპერატურის მომატება. ჩუტყვავილას დროს ავადმყოფს აწუხებს ქავილი.

გამონაყარის და ზოგადი მდგომარეობის მიხედვით არსებობს ჩუტყვავილას სამი ფორმა:

- **მსუბუქი** – რომლის დროსაც გამონაყარი იშვიათია, ლორწოვანი გარსები უცვლელია, ტემპერატურა ნორმალურია;
- **საშუალო სიმძიმის** – ამ დროს გამონაყარი არც ისე ბევრია, ტემპერატურა იმატებს 37-37,5 გრადუსამდე;
- **მძიმე ფორმა**– ამ დროს გამონაყარი უხვია და ფარავს მთელ სხეულს, ვითარდება ლორწოვანზეც. შესაძლოა განვითარდეს წვრილ კეროვანი ხასიათის პნევმონია (ფილტვების ანთება), ნახველი ზოგჯერ სისხლნარევია, ბუშტუკებშიც აღინიშნება სისხლიანი შიგთავსი.

საერთო მდგომარეობა მძიმეა, სხეულის ტემპერატურა მაღალია, გამონაყარი ჩირქოვანია და ტოვებს უხეშ ნაწიბურს.

ჩუტყვავილას დიაგნოზი ისმება კლინიკური ნიშნების საფუძველზე.

მკურნალობის ტაქტიკას საზღვრავს ექიმი ავადმყოფის საერთო მდგომარეობის და გართულებების გათვალისწინებით. მკურნალობა ძირითადად ტარდება ბინაზე, ხოლო, ჰოსპიტალიზაცია ხდება გართულებულ შემთხვევებში.

ავადმყოფის იზოლირება უნდა მოხდეს დაავადების პირველ 9 დღეს. ავადმყოფთან კონტაქტში მყოფი 7 წლამდე ასაკის ბავშვები არ დაიშვებიან ხალხმრავალ ადგილებში კონტაქტიდან მე-11 დღიდან 21 დღემდე.

საავადმყოფოს პირობებში კარანტინი ვრცელდება ნებისმიერი ასაკის ბავშვზე.

ასტროპროგნოზი

20 ნოემბრისათვის

ვერძი – მშვიდი და ჰარმონიული დღეა. ეცადეთ, ყველა საქმე დაამთავროთ და ახალი მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოთ. ქალაქიდან გასვლას ვარსკვლავები დღეს არ გირჩევენ. **კურო** – იღბლიანი პერიოდია. კომერციული ოპერაციები და საქმიანი გარიგებები წარმატებით დასრულდება. **ტყუპები** – კონფლიქტებს დილიდანვე ელოდეთ. ალკოჰოლი საქმეს უფრო გაამწვავებს. საღამო ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ. **კირჩხიბი** – იყავით კეთილგონიერი. ჭორებსა და უსაგნო საუბრებს ნუ აჰყვებით. თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **ლომი** – ფინანსური მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ეცადეთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთოთ. ფიზიკური ვარჯიში ძალიან წაგადგებათ. **ქალწული** – უფროსობა თქვენით კმაყოფილია. ასე განაგრძეთ. საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება თქვენი წარმატების საწინდარია. **სასწორი** – ბუნების წიაღში დასვენება, ქალაქიდან გასვლა, ბაღში მუშაობა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს. **ღრიანკალი** – ერიდეთ საქმის გარჩევებს. უმჯობესი იქნება, თუ კონფლიქტურ გარემოს საერთოდ გაეცლებით. საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღებით მოეპყარით. **მშვილდოსანი** – მშვიდად იმუშავეთ. გრძელვადიანი გეგმების შემუშავება რეკომენდებული არ არის. ფინანსური მდგომარეობა სტაბილურია. **თხის რქა** – მძიმე დღეა. დაძაბულობას მხოლოდ მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანებთან კონტაქტი მოგიხსნით. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. ნუ გადაიღლებით. დაისვენეთ და გაერთეთ მყუდრო გარემოში. **თევზები** – საქმიანი მოლაპარაკებები სხვა დროისათვის გადადეთ. დღეს წვრილმანი საკითხები მოაგვარეთ. ერიდეთ შორეულ მგზავრობას.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 4. კიბის ნაწილი ორ ბაქანს შორის მრავალსართულიან სახლებში; 5. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი. 12. კუნთების კრუნჩხვით შეკუმშვა; 14. ღვინის შესანახი პატარა ქვევრი; 16. ჩეხი კომპოზიტორი; 17. შინაგანი მისწრაფება ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 19. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ღვინის, ვაზის საპატივცემლო დღესასწაული ძველად საქართველოში.

თარაზულად: 6. წითელი ფერის ტკბილი, იტალიური სადესერტო ღვინო; 7. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 8. მდინარე ბერლინში; 9. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. რომელიმე ხალხის ეროვნული თავისებურებების, ტრადიციების მოშლა და აღრევა სხვა ხალხის ტრადიციებში; 18. რიცხვებით, ასოებით გამოხატული და მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავის ჯიში; 21. წყალგარეული ღვინო; 23. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 24. მოძრავი სკამი ნიჩბოსანთა ნავში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ვიქტორია; 2. ყინჩი; 3. პრიშტინა; 4. ქემელი; 7. წნორი; 9. ალუჩა; 12. ალმადოვარი; 14. ბურახი; 15. ქვაწვია; 17. კიკერსი; 20. თეთრა.

თარაზულად: 5. მისისიპი; 6. კირთაძე; 8. მიჩმანი; 10. აფროდიტა; 11. ტიროლი; 13. სტაპელი; 16. მანიკური; 18. ჰინდი; 19. ცაიში; 21. ფეიხოა; 22. შიფონერი; 23. მიუსერა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დეკადანსი; 2. ბოსფორი; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. ენესკუ; 11. ლეკალო; 12. ლაგაზი; 14. დალი; 16. რანჩერო; 17. ოჯალეში; 19. რემისია; 21. ჩორთი; 22. დიოდი.

თარაზულად: 6. სელადონი; 7. კრახუნა; 8. დაისი; 9. ადაჟიო; 10. ალილო; 13. ასადი; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 20. ჯინი; 21. ჩიზელი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

კულტურის სამინისტრო ბრალდებებს უარყოფს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გავრცელებულ ბრალდებებს ეხმაურება და კატეგორიულად უარყოფს.

როგორც მიხეილ გიორგაძის უწყებაში განმარტავენ, გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დანამატების გაცემის რაოდენობა 1509%-ით გაიზარდა, სიმართლეს არ შეესაბამება:

– გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას მიერ გაჟღერდა ინფორმაცია, რომელიც სამინისტროებში გაცემულ პრემიებსა და დანამატებს ეხება. ინფორმაცია, თითქოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დანამატების გაცემის რაოდენობა 1509%-ით გაიზარდა, სიმართლეს არ შეესაბამება.

რესპონდენტის მიერ ციფრების არითმეტიკული მანიპულირება იწვევს სახელმწიფო უწყებების და, შესაბამისად, მასში მომუშავე თანამშრომელთა დისკრედიტაციასა და საზოგადოების შეცდომაში მიზანმიმართულად შეყვანას. განსაკუთრებით საწყენია, რომ ასეთ განცხადებას მაღალი თანამდებობის პირი აკეთებს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ: 2015 წლის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯი 14 ათას ლარზე მეტითაა შემცირებული 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

2015 წელს მოსალოდნელი პრემიებისა და დანამატების ასიგნებები 90 ათასით ნაკლებია 2014 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ირაკლი ჩარკვიანი 54 წლის გახდებოდა



ქართულ მწერლობასა და მუსიკაში ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი ირაკლი ჩარკვიანი 54 წლის გახდებოდა. დღეს ყველა აღიარებს, რომ ის იყო ადამიანი, რომელმაც ქართული მუსიკა გადაატრიალა და დღესაც არ კარგავს აქტუალობას თავისი შექმნილი კომპოზიციებით.

ირაკლი ჩარკვიანის მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო ჯგუფ „არიშთან“ ერთად. მუსიკოსის შემდეგი ჯგუფი იყო ნაკლებად ცნობილი ინდი ჟანრის კოლექტივი „ტაქსი“. ამავე სახელწოდების ალბომის გამოცემის შემდეგ მსმენელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მათი მუსიკის მიმართ.

„ტაქსის“ წარმატების პიკი იყო 90-იანების დასაწყისი. ამ პერიოდში ჩატარებული ყველაზე ცნობილი კონცერტებიდან აღსანიშნავია თბილისის ფილარმონიასა და ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში მოწყობილი კონცერტები.

ირაკლის პირველი სოლო გამოჩენა მოხდა სიმღერით „ვორ იზ ოვერ“. მისი პირველი სოლო-დისკი „სვან სონგს“ ჩაიწერა და გამოიცა გერმანიაში. ეს მნიშვნელოვანი სოლო-დებიუტი იყო და დღემდე ითვლება 90-იანებში ჩაწერილი ქართულენოვანი ალტერნატიული დისკების ერთ-ერთ მთავარ ნიმუშად. მოგვიანებით ირაკლი მუშაობდა მუსიკაზე კინოფილმისთვის „ორფეოსის სიკვდილი“.

მეფის მეორე სტუდიური ალბომია „აფრენ“, მორიგი სტუდიური დისკია „ამო“. ეს ალბომი ცნობილია სიმღერებით „სექსი“ და „ორგანი'78“. მოგვიანებით გამოჩნდა ალბომი „სავსე“, რომელიც დაემთხვა ირაკლის შემოქმედების თაყვანისმცემელთა ახალი ტალღის გამოჩენას. ამ პერიოდში შინაურ სტუდიაში იგი მუშაობდა ბევრ ახალ სიმღერაზე და, პარალელურად, საკმაოდ ხშირად იღებდა ახალ ვიდეოკლიპებს საკუთარ სიმღერებზე.

სწორედ ამ პერიოდიდან მან საკუთარ ფსევდონიმად „მეფე“ აირჩია.

– ადამიანი აქ არ მღერის იმას, რაზეც ფიქრობს. ეს არის ქართველის უბედურება. სახლში, ახლობლებში ლაპარაკობს, აგინებს ამ სოციალურ პრობლემებს, სცენაზე გამოდის და ასრულებს დებილი კომპოზიტორის დაწერილ „დათუნებს“ და „ხათუნებს“, – ამბობდა მომღერალი ჟურნალისტებთან საუბრისას.

ქართველი მოდელები საერთაშორისო კონკურსზე გაემგზავრნენ

სილამაზის საერთაშორისო კონკურსის „ელიტ მოდელ ლუქ“-ის მსოფლიო ფინალი 23 ნოემბერს იტალიაში გაიმართება. საქართველოში ჩატარებული კონკურსის გამარჯვებულები თათია ახალაია და ლუკა ჯაჯვანი იტალიაში უკვე გაემგზავრნენ.

„ელიტ მოდელ ლუქის“ საერთაშორისო კონკურსი არის მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული და წარმატებული სამოდელო კონკურსი. წელს კონკურსში მონაწილეობას იღებს 70 ქვეყნის წარმომადგენელი. 70 გოგონადან უნდა აირჩეს 10 საუკეთესო, 70 ბიჭიდან კი 5 საუკეთესო.

საქართველოს წარმომადგენლები იტალიის ქალაქ მილანში უკვე ჩაფრინდნენ. თათია ახალაია და ლუკა ჯაჯვანი ელიტ მოდელ ლუქის საქართველოში ჩატარებული წლევანდელი კონკურსის გამარჯვებულები არიან.

კონკურსის გამარჯვებული გოგონა მიიღებს 150.000. თათია ახალაია პირველი ქართველი მოდელია, რომელმაც პარიზში ოტ კუტიურ მოდის კვირეულზე გაიარა.

კონკურსის გამარჯვებულ ბიჭს კი 50.000 გადაეცემა.

თათია ახალაიასთვის და ლუკა ჯაჯვანისთვის ეს არის რეალური შანსი, მათი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალოს.

ვანდალიზმი ახალქალაქის ციხე-სიმაგრის კედლებზე

ქართველი საზოგადოება უკვე შეეჩვია იმ ფაქტს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ეტაპობრივად ხორციელდება სხვადასხვა ვანდალური ფაქტები. მორიგი ვანდალური ფაქტი ახალქალაქის ციხე-სიმაგრის კედლებზე დაფიქსირდა.

საქართველოს სომეხთა სათვისტომო ავრცელებს ინფორმაციას, რომ ახალქალაქის ციხე-სიმაგრის კედლებზე ვანდალური აქტი მოხდა:

– ახალქალაქის ციხე-სიმაგრის კედლებზე უჩვეულო წარწერა გამოჩნდა. ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი მეჩეთის შენობის კედლებზე წითელი საღებავით გაკეთებული თურქულენოვანი წარწერა გაჩნდა, რაც თურქულიდან თარგმანში „ერთ დღეს ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით“ ნიშნავს.

წარწერის ირგვლივ, იგივე წითელი საღებავით პანთურქული და ისლამური სიმბოლიკა არის გამოხატული.

რეგიონის თურქული ოკუპაციის პერიოდში ახალქალაქის ციხე-სიმაგრე საოკუპაციო ძალების ადმინისტრაციის რეზიდენციის ფუნქციას ასრულებდა.

1828 წლის 23 ივლისს ახალქალაქის ციხე გენერალ პასკევიჩის მიერ იყო გათავისუფლებული თურქული ჯარებისგან.

თურქული ოკუპაციისგან რეგიონის გათავისუფლების დღიდან ახალქალაქის ციხე-სიმაგრემ სოციალურ-სამხედრო და სტრატეგიული დანიშნულება დაკარგა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქის ციხე-სიმაგრე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს, ბოლო 200 წლის განმავლობაში ისტორიული ძეგლი, ბუნებისა და ადამიანის ზეგავლენის პროცესში ნადგურდება.

გალაკტიონ ტაბიძის ბინა-მუზეუმი განახლებულია

თბილისში მდებარე გალაკტიონ ტაბიძის ბინა-მუზეუმი განახლებულია. ქართველი პოეტის დაბადებიდან 124-ე წლის აღსანიშნავად გალაკტიონის მემორიალურ ბინა-მუზეუმში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.

რუსთაველის თეატრის მსახიობმა მურმან ჯინორიამ გალაკტიონის ლექსების მიხედვით დადგმული მონო-სპექტაკლის „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ ნაწილი წარმოადგინა.

განახლებულ გალაკტიონის ბინა-მუზეუმში დამონტაჟდა სპეციალური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც დამთვალიერებელს საშუალება ექნება, უწყვეტ რეჟიმში მოისმინოს გალაკტიონის მიერ წაკითხული ლექსების ჩანაწერები, დაათვალიეროს მისი ფოტოსურათები და ვიდეო მასალა.

მუზეუმის კომერციალიზაციისა და პოპულარიზაციის მიზნით, დამზადდა გალაკტიონის ფოტოებითა და ხელნაწერებით გაფორმებული ბლოკნოტები, მაისურები, ჩანთები და მაგნიტები.

მუზეუმის პოპულარიზაციის პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა წიგნი „მე ვკითხულობ გალაკტიონს“, სადაც შეტანილია რიგითი მოქალაქეების მიერ გალაკტიონის ლექსების კითხვის პროცესი. წიგნის პრეზენტაცია გალაკტიონის დაბადების დღეზე გაიმართა.

დათო კენჭიაშვილი დააქორწინეს

ქართულ რეალობაში ასეა, საკმარისია ვინმესთან ერთად გამოჩნდე, რომ მაშინვე ან მისი შეყვარებული ხარ, ან უკვე დაქორწინდით. ამ უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდა მომღერალი დათო კენჭიაშვილიც, რომელსაც გია ჯაჯანიძის შოუს პრომოში გამოჩენა დაოჯახებად დაუჯდა.

მართალია, მომღერალი უკვე მიჩვეულია მასზე გავრცელებული ჭორების და ტყუილების ატანას, მაგრამ ამ ინფორმაციამ და გაუთავებელმა მილოცვებმა ისე დაღალა, რომ იძულებული გახდა, საჯარო განცხადება გაეკეთებინა:

– ნუ მილოცავთ გაბედნიერებას, ტყუილია, არ მომიყვანია ცოლი, არც საცოლე მყავს.

როგორც მომღერალმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ინფორმაციის გავრცელება გადაცემის პრომოს ორიგინალურმა მონტაჟმა გამოიწვია.

– მონტაჟია გაკეთებული ისე, რომ მილოცავს ყველა. არ შეესაბამება სიმართლეს. ლამის მეც შემეპარა ეჭვი ჩემს თავში, მოვიყვანე თუ არა ცოლი. რომ გადავხედე და სახლში არავინ იყო, მე და ჩემი საყვარელი ბებიის გარდა, მერე ისევ დავრწმუნდი, რომ ცოლი არ მომიყვანია. ჩემს პირად ცხოვრებაში ახალი არაფერია, ჩემი შეყვარებულია ჩემი საქმე, ხელოვნება.

გოგონებს არასდროს ვარჩევ იმის მიხედვით, მაღალი იქნება, ქერა თუ ცისფერთვალება. ჩემთვის სხვა ფასეულობებია მნიშვნელოვანი, ის, რაც ნამდვილ ქართულ ოჯახს სჭირდება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ტატა გედევანიშვილი, ივანე, სოფიკო, ლევან ჯაფარიძეები, ეკა დავითაშვილი, ერეკლე უგრელიძე თანაუგრძნობენ ვასილ, ნინო, თამარ მესტვირიშვილებს მეუღლისა და დედის

დალი როსტომაშვილის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

TV პროგრამა

პარასკევი 20 ნოემბერი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" **07.05, 09.10** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია **11.00** ტ/სერ. "**ჩენბერ ვეტრინე**" **12.30** "კომუნიკატორი" **13.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **14.05** მხ/ფ "**ორი ძმა**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**სად ხარ!**" **18.05** "სიტყვების თამაში" **18.30, 19.01** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" **19.30** "ტელებლოგი" **20.30** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.00** ტ/სერ. "**ბანქოს სახლი**" **22.00** თოქ – შოუ "რეალური სივრცე" – ნინო ზაუტაშვილთან ერთად **23.30** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**უკუწევა**" (რ.დე ნირო)

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **14.00,16.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

06.00 სერ. "**რობინ ჰუდის თავგადასავალი**" **07.00** სერ. "**კარმა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ."**გზაჯვარედინი**" **11.20** სერ. "**დიდი სახლის პატარა დიასახლისი**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.45, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** პოლიტიკა **23.30** სერ. "**ჟამონგი**" **01.25** მხ/ფ "**მონობა**"(კ. დელ კასტილიო) **03.30** მხ/ფ "**სექსი გაცვლით**" (მ.მური)

07.00, 15.40 სერ. "**ლამაზი სიზმარი**" **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **22.50** ქერის უბანი **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი

06.10 მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "მზია ერისთავი და ალექსანდრა ჯაფარიძე" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **11.25** სალბუნი-მეანგინეკოლოგია **12.10** პორტრეტები **13.15** ბავშვები მუზეუმში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "კიპარისი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.20** ქართული ანიმაციური ფილმი **15.40** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **16.10** დ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.35** მიწათმოქმედი "ფოკის მამათა მონასტერი" **17.00** ყველაფერი ქორეოგრაფიაზე-გულიკო სიხარულიძე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქართული ხმებირაჭა **20.00** თაობა ზეტი **20.40** ძილი ნებისა "იესოს პირველი სასწაული" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "სხალტბის ქედი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები "ქვაშვეთი" **00.35** დ/ფ "მთის რაინდი (ხერგიანი)" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ქვესტის სამყარო" (ჟესტიკულაციით) **7.55** გადაცემა "საქმიანი დილა" **10.05 სერიალი "სხვისი სხეული" 11.05 სერიალი "ქუზეი და გუნეი" 12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **14.05 სერიალი "დაკარგული დრო" 15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **16.05 სერიალი "ტატიანა" 17.05 სერიალი "სიყვარულის იმპერია" 18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** გადაცემა "ბიზნეს კონტაქტი" **19.05 სერიალი "ნადირობა" 20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45 სერიალი "ბანდიტების დედოფალი" 21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **23.00 სერიალი "ფერფლი" 1.30 სერიალი "ტატიანა" 2.15 სერიალი "სიყვარულის იმპერია"**

პროგრამები იბეჭდება საagენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 ნოემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — **2.4001**

ევრო — **2.5616**

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — **3.6551**

100 რუსული რუბლი — **3.703**

ამინდის პროგნოზი 20 ნოემბრისთვის

კალეიდოსკოპი

მუსლიმანი ქალის დამცველი ბრიტანელი ფეისბუქის გმირად იქცა

ლონდონელი ეშლი პოუისი ფეისბუქის გმირი მას შემდეგ გახდა, როდესაც დედაქალაქის მეტროში ახალგაზრდა მუსლიმანი ქალი ნაცისტურად განწყობილი მგზავრისგან დაიცვა. ბრიტანელის მიერ გამოქვეყნებულმა პოსტმა მომხდართან დაკავშირებით და სოციალური ქსელების მომხმარებლების მიმართ მოწოდებამ, გაუფრთხილდნენ ერთმანეთს, 41 ათასზე მეტი მოწონება და 18 ათასი გადაწერა მიიღო.

შეტყობინებაში, რომელიც 22 წლის პოუისმა საკუთარ გვერდზე განათავსა, მან ისაუბრა იმაზე, რომ მეტროს ვაგონში ჩადრიანი გოგონას პირდაპირ იჯდა, როდესაც მასთან აგრესიულად განწყობილი უცნობი მივიდა და ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე შეურაცხყოფის მიყენება დაუწყო.

როდესაც პოუისმა მას ხელი უბიძგა, გოგონას მოაშორა და მოსთხოვა მისთვის თავი დაენებებინა, უცნობმა მას „ტერორისტების თაყვანისმცემელი“ უწოდა. იმისთვის, რომ მუსლიმანი გოგონას ყურადღება შეურაცხყოფისგან გადაეტანა, ის გვერდით მიუჯდა და საუბარი გაუბა, შემდეგ კი გოგონას თანხმობითა და თხოვნით მასთან ერთად გამოვიდა ვაგონიდან და მიაცილა იმ ადგილამდე, სადაც გოგონა თავის მეგობრებს უნდა შეხვედროდა.

ეშლის თქმით, მის გარდა, გოგონას არავინ გამოქომაგებია. „ყველა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ხდებოდა“, – აღნიშნა მან.

სოციალური ქსელები მაღაზიიდან გამოგდებულ ჩადრიან ქალს გამოექომაგნენ

ტვიტერისა და ფეისბუქის მომხმარებლებმა პარიზის მოდური მარკის ზარას მაღაზიის მცველი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მან სავაჭრო დარბაზში შესვლის უფლება არ მისცა ჩადრში გამოწყობილ ქალს. ინტერნეტ-მომხმარებლებმა მომხდარის აქტიური განხილვა მოაწყვეს მას შემდეგ, როდესაც ქსელში ინციდენტის ამსახველი ვიდეო გამოჩნდა.

ჩანაწერში კადრს მიღმა ისმის, თუ როგორ ეკითხება უცნობი გოგონა მაღაზიის მცველს, თუ რატომ არ შეიძლება მაღაზიაში მისი ჩადრით შესვლა. ზარას თანამშრომელი კი მას უხსნის, რომ ეს წესები მას არ დაუწესებია და შესაძლოა, ის მოგვიანებით შეიცვლება.

აღსანიშნავია, რომ ეს ვიდეო რგოლი გადაღებულია 14 ნოემბერს პარიზში განხორციელებული ტერაქტების მეორე დღეს.

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა ფეისბუქსა და ტვიტერში ბრენდის ზარას გვერდზე აღშფოთებული კომენტარები დატოვეს. ბევრმა მათგანმა ესპანური მარკის ბოიკოტირებისკენ მოწოდებაც კი გაავრცელა.

ქალები ჩარლი შინს უჩივიან

სულ მცირე, ექვსმა ქალმა მაინც მიმართა თხოვნით იურისტებს, რათა ისინი დაეხმარონ საჩივრის შედგენაში ჰოლივუდის მსახიობ ჩარლი შინის წინააღმდეგ, რომლებსაც მასთან ინტიმური ურთიერთობა ჰქონდათ. მსახიობმა აღიარა, რომ შიდსის ვირუსითაა დაავადებული. ისინი 50 წლის მსახიობს ადანაშაულებენ სექსუალური ხასიათის ძალადობრივ ქმედებაში, თაღლითობასა და განზრახ ემოციური აშლილობის მიყენებაში.

როგორც ცნობილმა ლოს-ანჯელესელმა ადვოკატმა განაცხადა, ექვსმა ქალმა მიმართა მას თხოვნით, ხოლო კიდევ ოთხთან მას უახლოეს დღეებში შეხვედრა აქვს დანიშნული. მსახიობის ყოფილი სექსუალური პარტნიორები ამტკიცებენ, რომ მათ შინთან ჰქონდათ როგორც დაცული სქესობრივი, ისე დაუცველი კონტაქტი. ამასთან, მათი თქმით, მსახიობს ისინი თავისი ავადმყოფობის შესახებ არ გაუფრთხილებია.

მსახიობის გარემოცვასთან საკმაოდ დაახლოებული პირის თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, შინს 200-ზე მეტი სექსუალური პარტნიორი ჰყავდა. მან დაუშვა, რომ სარჩელების რაოდენობა შესაძლოა გეომეტრიული პროგრესიით გაიზარდოს. მსახიობთან დაახლოებულმა კიდევ ერთმა პირმა ერთ-ერთ ტელეარხთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მსახიობი არასოდეს აფრთხილებდა თავის სექსუალურ პარტნიორებს, რომ ის შიდსით იყო დაავადებული.

16 ნოემბერს ჩარლი შინმა მონაწილეობა მიიღო მეთ ლოერის პროგრამაში ტუდეი, რომელშიც საკუთარ დაავადებაზე ისაუბრა.

– მე ამ გადაცემაში იმისთვის მოვედი, რომ ვაღიარო: შიდსით ვარ დაავადებული, – განაცხადა მსახიობმა და იქვე დაამატა, რომ ეს დიაგნოზი მისთვის დაახლოებით ოთხი წლის წინ იყო ცნობილი. მან ისიც განაცხადა, რომ დაუცველი სექსი მხოლოდ ორ პარტნიორთან ჰქონდა, რომლებმაც მისი ავადმყოფობის შესახებ იცოდნენ. შინმა ისიც განაცხადა, რომ მას ფულს სძალავდნენ იმისთვის, რათა მისი ავადმყოფობა საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარიყო.

– მე მათ ფული გადავუხადე, არც ისე ბევრი, თუმცა საკმარისი, – აღიარა მსახიობმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფაჩულიას მორიგი ორმაგი დუბლი

ზაზა ფაჩულიამ სეზონის მე-12 მატჩში მე-6 ორმაგი დუბლი შეასრულა. ქართველი ცენტრი მოედანზე კვლავ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბოსტონში, სადაც მისმა დალასმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა – 106:102.

დალასელებმა რთული მატჩი მოიგეს. ბოლო პერიოდის წინ მასპინძლები 8 ქულით იგებდნენ, თუმცა დასკვნითი მეოთხედი ტეხასელებმა 36:24 მოიგეს და საბოლოოდაც იმარჯვეს.

ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 31 წუთი გაატარა. მან 7-დან 5 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. ზაზა კვლავ უბადლო იყო ფარქვეშ ბრძოლებში და მოგროვებულ 14 ქულას 12 მოხსნაც მოაყოლა. ამასთან ერთად, ქართველმა ცენტრმა 3 პასი და 1 დაფარეებაც მიითვალა და გამარჯვებულთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

8 მოგებითა და 4 მარცხით დალასი დასავლეთ კონფერენციაში მე-3 ადგილზე გამაგრდა და მხოლოდ სან ანტონიოსა და გოლდენ სტეიტს ჩამორჩება.

მორიგ მატჩში, 21 ნოემბერს, დალას მავერიკსი შინ იუტა ჯაზს დაუხვდება.

თბილისი ძალოსნობის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს

ჰიუსტონში, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდა, რომ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს 2016-ში თბილისი უმასპინძლებს. ტურნირი ივნისში გაიმართება.

აღმასკომზე ხაზი გაესვა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის მიერ უმაღლეს დონეზე ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატს, ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

თბილისის პრეზენტაცია წარადგინეს საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახი კახიაშვილმა, სპორტის მინისტრის მოადგილემ შალვა გოგოლაძემ და ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ ბოქოლიშვილმა.

მ. ჟ.

გიორგი გოგიჩაიშვილი ტელევიზიიდან გაუშვეს

„ბასტი-ბუბუ“, „მხიარული კარუსელი“, „თავდაყირა“, „ყოჩაღების ქუჩაზე“ – ეს იმ გადაცემების ჩამონათვალია, რომელთა უცვლელი წამყვანი პატარებისთვის საყვარელი გოგიჩა, იგივე გიორგი გოგიჩაიშვილი იყო.

ამიერიდან გოგიჩა ტელევიზიაში აღარ მუშაობს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელობამ ის ტელევიზიიდან გაუშვა.

ინფორმაციას სოციალური ქსელის მომხმარებელი თეა კიკნაველიძე ავრცელებს:

– რა ხდება საზოგადოებრივ ტელევიზიაში?

დაიწყო ნადირობა ნიჭიერ, ღვაწლმოსილ და დამსახურებულ ადამიანებზე.

ადამიანი, რომლის სახელთანაც არის ასოცირებული ყველასათვის საყვარელი საბავშვო გადაცემა „ბასტი-ბუბუ“, სადაც არაერთი ნიჭიერი თაობა გაიზარდა, ადამიანი, რომელმაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ბავშვებთან ურთიერთობას მიუძღვნა – გიორგი გოგიჩაიშვილი „გოგიჩა“, ტელევიზიიდან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაუშვეს.

ჯერ იყო და დახურეს პირველი არხის ყველაზე რეიტინგული საბავშვო გადაცემა „ყოჩაღების ქუჩაზე“, რომლის წამყვანიც ასევე გოგიჩა გახლდათ, ვითომ რამე უკეთესი მოიგონეს, ახლა კი ადამიანი საერთოდ ტელევიზიას მოაშორეს.

ალბათ გულგრილი არ დარჩებიან ბავშვები და მათი მშობლები საყვარელი ტელეწამყვანის გარშემო მომხდარი ფაქტის მიმართ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– მე და ჩემი სიდედრი 20 წლის განმავლობაში ვიყავით ბედნიერები.

– ეგ როგორ?

– მერე ერთმანეთს შევხვდით.

●●●

დაქალი დაქალს ეკითხება:

– აბა, როგორ ჩაიარა შენმა პაემანმა?

– ხუთჯერ დამჭირდა მისთვის სახეში გალაწუნება.

– არ გასვენებდა?

– არა, თვლემდა...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, შენ რა, ეჭვიანობ?

– სრულიადაც არა.

– ძალიან კარგი. ხვალ რა გვექნება სადილად?

– იმ საქონლის კერძი, გაუთავებლად რომ გირეკავს.

●●●

სამი დაქალი საუბრობს. ერთი ამბობს:

– გასულ ახალ წელს ჰავაის კუნძულებზე შევხვდი.

– მე კი ახალი წელი ოკეანის ფსკერზე გავატარე, ძაან მაგარი იყო, – ამბობს მეორე.

– მე კი სამზარეულოში თქვენთან ერთად შევხვდი ახალ წელს, მხოლოდ მე არ მომიწევია...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემი მეზობელი პოკერს ისე კარგად თამაშობდა, რომ მოკვდა, 3 დღე არ ტიროდნენ.

– რატომ?

– ბლეფი ეგონათ...

●●●

რუსს ეკითხებიან:

– რომელია ყველაზე საოცარი სასმელი?

– არაყი.

– რატომ?

– გემო თითქმის ერთნაირია, მაგრამ თავგადასავლები, სულ სხვადასხვა...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, ყველაზე მტკიცე ოჯახები ინდოეთში ყოფილა?

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ ქორწილის დღეს პატარძალს შუბლზე ნიშანს ადებენ, ქმარმა, რომ არ აიცილოს.

●●●

მეცნიერებმა დაასკვნეს:

„ევოლუციის შედეგად ადამიანს კუდი მოსძვრა, მაგრამ ქიცინის რეფლექსი მაინც შემორჩა“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სახელმწიფო ახლო-აღმოსავლეთ აზიაში; 2. სამკითხაო ქვიშა; 3. ნიუ-იორკის ერთ-ერთი რაიონი; 4. აჭარული ცეკვა; 7. მინერალური წყალი სამეგრელოში; 9. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში; 12. ამერიკელი ასტრონავტი, პირველი ადამიანი მთვარეზე; 14. რეგიონი კახეთში; 15. ფირმა „კოდაკის“ დამფუძნებელი; 17. აეროპორტი ოსლოში; 20. ღვინის თიხის სასმისი.

თარაზულად: 5. მდინარე ვაშინგტონში; 6. ბარსელონას ძველი სახელწოდება; 8. ბაზრის სახელწოდება ძველად საქართველოში; 10. ქართული წარმოშობის რუსი კომპოზიტორი, ქიმიკოსი; 11. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 16. ენის ბგერითი შემადგენლობის შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 18. ფრანგი მწერალი, ავანგარდისტი მხატვარი, კინორეჟისორი; 19. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში; 21. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ჭადრაკის პარტიის დასკვნითი ნაწილი; 23. სამცხე-ჯავახიშვილის მმართველთა ტიტული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა